# თუნჯერ ჯუჯენოღლუ

# ფოსფორლუ ჯევრიე

## (სტანბოლის ქუჩები)

(მიუზიკლი, 2 ნაწილი)

მთარგმნელი: ეშრეფ ილმაზ მახარაძე

ცირა შარია

*სუათ დერვიშის ამავე სახელის რომანის მიხედვით...*


***Tuncer Cücenoğlu***
***www.tuncercucenoglu.com***
***cucenoglutuncer@gmail.com***
***tcucenoglu@hotmail.com***

მთარგმნელი: ეშრეფ ილმაზ მახარაძე — ცირა შარია
EŞREF YILMAZ — TSIRA SHARI
E- POSTA: esrefyilmaz60@gmail.com — cira.sharia@gmail.com
Tel : +90 0536 319 19 38 Türkiye — +90 539 776 04 92
+99 574 25 11 36 Gürcistan — ……………………………

**დეკორაცია:**
(მოპირდაპირედ შავი სასცენო
ფარდა იქნება...
დიდი ქუჩის ლამპიონი...
ქუჩები ნაგვითაა სავსე,
მარჯვენა კუთხეში ერთი მაგიდა
და ზედ საბეჭდი მანქანა. )

**პერსონაჟები:**
სუათ დერვიშ-ფოსფორლუ ჯევრიე
**კაცი**
**ქოს აითენი** *(ხმელი ტანადობის აითენი )*
**ჩათლაკ მარიკა** *(გიჟმაჟუნა მარიკა)*
**თოფ მელაჰათი** *(ქალკაცა მელაჰათი)*
**იედიბელა გულსერენი** *(ხათაბალა გულსერენი)*
**გულნაზი**
**სუმბულ დუდუ**
**ჰაჯი**

**ბარბა**

მოადგილე, პოლიციელი,3 პერსონაჟი სხვები

**ჩოფურ ველი  ჯარისკაცი, ქალი, მამაკაცი,**

**მუსიკოსი ბრმა აბდი** *(თურქული თარის დამკვრელი)*

*ეძღვნება პროფესორ დოქტორს სევდა   შენერს*

**დრო**      : 1947

**ადგილი** : სტამბოლი

**წელიწადის დრო** : ოქტომბერი

*თუნჯერ ჯუჯენოგლუსგან*

*ახალი სპექტაკლი*

“ფოსფორლოუს თავგადასავალი”

2015 წელს 45 -ე წელი ხელოვნების იუბილეზე მწერალმა თუნჯერ ჯუჯენოღლუმ ახალი სპექტაკლი მიამატა თავის შემოქმედებას.ეს სპექტაკლი კი მიუძღვნა წინა წელს

გარდაცვლილ ყველასათვის ძვირფას თეატრალს ,ყველას მასწავლებელს და ნამდვილ პატრიოტ ქალბატონს პროფესორ დოქტორს სევდა შენერს, პატივისცემის ნიშნად.

თუნჯერ ჯუჯენოღლუს ადრეც დაწერილი აქვს ქალების თემაზე სცენარები;**ქადინჯიქლარ**(პატარა ქალები), **ქადინ სიღინაღი**(ქალთა თავშესაფარი), **მატრუშკა,ზიარეთჩი**(მნახველი),**ჩიკმაზ სოქაქ** (ჩიხი).

ჯუჯენოღლუმ **სუათ დერვიში**ს რომანი **ფოსფორლუ ჯევრიეს** მიხედვით 2 ნაწილიანი სცენარი დაწერა.სპექტაკლი ფოსფორლუ ჯევრიეს ხასიათის მიხედვით და მისი თხორობიდან გამომდინარე როლების გაცოცხლებით

დიდებული მუსიკალური სპექტაკლი წარმოიქმნება.

**ისტორია 1947 წლებში სტანბოლის შემოდგომის ერთ ცივ საღამოს იწყება.**

წინა საუკუნის პირველ ნახევარში,25-30 ასაკის ერთი ცნობილი კახპა ქალი **ფოსფორლუ ჯევრიე** რთული ცხოვრებით ცხოვრობდა, გალათას მიდამოებში.იქაურობა სავსე იყო ცუდი რეპუტაციის ხალხით .ქურდებით,მძარცველებით და დამნაშავეებით.ამავდროულად ადგილი უჭირავთ ჯევრიეს ცხოვრებაში მნიშვნელოვან პიროვნებებს :თოფ მელაჰათს,გულნაზს,ჩათლაქ მარიკასთან ერთად ერთი ბერძნული რესტორნის პატრონს ბარბას და კიდევ ერთი ბორდელის თანამშრომელს სომეხ

სუმბულ დუდუს .ჯევრიეს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურები არიან ესენი და ამ პატრიარქალურ სამყაროში.

სცენარი მოგვითხრობს სტამბულის ქუჩებში მცხოვრებ ჯევრიეს სიყვარულის ისტორიას კაცთან, რომელიც პოლიციელებისგან იმებნება,პოლიტიკური მოტივის გამო.

**ჯუჯენოღლუ**ს აზრით სუათ დერვიშის პერსონაჟი თან მწერალია თან ჯევრიეს პერსონაჟს აცოცხებს.ყველაფერი მისი თვალით დანახული იქნება.

პირველი სცენა სტამბოლის ქუჩების მოთხრობით იწყება. ქალაქ ბოლუში გამევებული ჯევრიე, მონატრებულ ისტანბოლში გამოიქცევა.ამ დროს მწერალი ჯევრიეს პერსონაჟს წამოადგენს.მიუხედავად პრობლემებისა

ფეხზე მყარად დადგება,ასევე მას ამ ცუდი ცხოვრებიდან დაიხსნის და ოჯახურ სითბოს დაანახებს. ადამიანი რომელიც პოლიციელებისგან მებნილია და შეუყვარდება კიდეც ეს პიროვნება.

ქუჩებში იგრძნობა სიღარიბე და უპატრონობა და ეს არის ყველას პრობლემა.ეს სცენარი ერთი მხრივ არის ერთი სიყვარულის ისტორია და ფოსფორლუს დასასრული ტრაგედიაც რომ იყოს, მწერალი ასევე საზოგადობის ფენებსაც ასახავს.

ზოგადად ქუჩები, ქალაქების ცოცხალი მაგალითია.ცხოვრებისა და სიმართლის მებნის ადგილებია.ამავდროულად საუბრის და საჭორაო ადგილებიცაა.ზოგიერთს როდესაც სძინავს, ქუჩებში ცხოვრება

გრძელდება.ქუჩებში არა მხოლოდ ადამიანები ცხოვრობენ, არამედ ქუჩის კატები და ძაღლებიც ბინადრობენ.ქუჩები ასევე  ქალაქის სულის ანარეკლია.

შეგვიძლია ვთქვათ რომ **ფოსფორლუ ჯევრიე სახალხო სპექტაკლია** .

თითქმის ნახევარი საუკუნეა მწერალი **თუნჯერ ჯუჯენოგლუ** დიდი ძალისხმევით აგრძელებს მოღვაწეობას და მას შემოქმედებით საქმიანობაში დიდხანს ყოფნას ვუსურვებ.

*პროფესორ დოქტორი*

***ჰულია ნუთქუ***

*იზმირი 2015*

# ნაწილი პირველისუათ

**დერვიში** ( ძალიან ლამაზი და ელეგანტური, სცენის შუაში დადგება)

## სტანბოლის ქუჩები

*ათას ცხრაას ორმოც და შვიდი წელი*

*თვე ოქტომბრი*
*ღამე იყო  ისეთი*
*სტამბოლს რომ არ ახსოვს*

*კუნძულები და მოდები*
*ბოსფორის სასახლეები*
*შიშლის აფართმანები*
*თბილ თბილი კერიები!*

*ამას როგორ ვერ ამჩნევენ*
*ამა უთანასწორო ცხოვრებას*
*ღარიბებით სავსე ქუჩებს*

*უპატრონო ადამიანებს*

*ტროტუარებზე კატებს*
*ღონემიხდილი ძაღლებს*
*უპატრონო ღარიბებს*
*ცხელი ჩორბა ხო უნდათ!*

*და ყველა კუთხის თავში*
*ქალები ყველა ასაკში*
*საჩუქრის მოლოდინში*
*დასცქერიან კანკალით.*

*ამას როგორ ვერ ამჩნევენ*
*ამ უთანასწორო ცხოვრებას*
*ღარიბებით სავსე ქუჩებს*
*უპატრონო ადამიანებს!*

(მოვა და მაგიდასთან ჯდება.საბეჭდ მანქანაში ქაღალდს ჩადებს.მაყურებელს საბეჭდი მანქანის ხმის ქვეშ მიეწოდება  ეს

ყველაფერი .ხანდახან გაჩერდება და ხმამაღლა წაიკითხავს.)

**ათას ცხრაას ორმოცდა შვიდი** წლის ცივი შემოდგომის საღამო იყო.სტანბოლის ძალიან ცივი ღამეებიდან ერთერთი.ასეთ ღამეში საერთოდ არ წვიმს ხოლმე მაგრამ სიბნელე სიცივესთან ერთად  უფრო და უფრო აცივებდა იქაურობას.ადამიანები ამ სიცივისგან თავის დაღწევის მიზნით სახლებში მიიჩქარიან ტრამვაით,ავტობუსით,სამარშუტო ტაქსებითა და გემით... სახლი ვისაც არ გააჩნდა ჩაიხანებს მიაშურებდნენ. უკვე ქუჩებში ღამის პოლიციელები ,ქუჩის ქალები და ღამის სხვადასხვა საქმეებზე მომუშავე ხალხის გარდა არავინ არ იყო.მიყრუებული ქუჩების ,ჩაბნელებული კუთხეების,ციხის ძირების,სასაფლაობის და ამდაგვარი ადგილების ერთერთი აუცილებელი პირობა

კი იყო ფოსფორლუ ჯევრიე.ყველას არჩევანს ფოსფორლუ ჯევრიეს აკეთებდა.ამაყობდა ყველა იმით თუ ჯევრიესთან ნამყოფი იქნებოდა.ნარკოტიკების გამო ციხეში ერთი წელი ნამყოფი ჯევრიეს ,ციხიდან გამოსვლის შემდგომ ,იძულებით ერთი წლით ქალაქ ბოლუში გაასახლებენ,მაგრამ ჯევრიე ცოტახნის შემდგომ მონატრებულ სტანბოლში გამოიპარება სატვირთო მანქანით.მთელი სხეული უკანკალებს ან როგორ არ აუკანკალკდება, ციხეში ერთი წელი სითბოს მიჩვეულ ჯევრიეს გადავიწყებული ქონდა ქუჩის ცხოვრება და სიცივე.(ფეხზე წამოდგება,ტანზე რაც აცვია გაიძრობს თითქოს ფოსორისებრი ჯევრიე ხდება.)

# ფოსფორლუ ჯევრიე

(მაყურებელს)

გამარჯობა დებო !გამარჯობა ძმებო ! ყველას მოგესალმებით.მე მქვია ჯევრიე.დაბადებიდან სტანბოლში ვცხოვრობ,მხოლოდ ჯევრიეთი რომ მიკითხოთ ვინმე არ მიცნობს ,მაგრამ თუ ფოსფორლუ ჯევრიეთი მიკითხავთ ბეიოგლუს რაიონის მილიციიდან დაწყებული ,საკონდიტროები,კუმკაპის დილის კაფეები,ტაქსიმიდან მეჯიდიეკოის რაიონამდე ყველა ცხოველი (არსება) მიცნობს.რატომ მაინცდამაინც ფოსფორლუ თუ იკითხავთ .არ იდარდოთ.გიპასუხებთ.კარგად შემომხედეთ.თმებზე,თვალებში...როგორც ხედავთ თმები და მთელი სხეული ანათებს.ეს ჩემი ნათქვამი არ არის რააა(ჯარგონულად)ყველას ასე ამბობს.შეხედეთ ეს  ლამპიონებიც კი

საკმარისია ჩემთვის რომ ვიბრწყინო.სწორია ხომ?

ეხლა ერთ ისტორიას მოგიყვებით.წარსულში ერთ მუშტარს როდესაც ველოდებოდით სასტვენის ხმები შემოგვესმა.უსარკოები (პოლიციელები )მოდიოდნენ.კაკაბის წიწილებივით დავიფანტენით.პანიკით ნახევრად სავსე ნაგვის ყუთში შევძვერი.თავსახური დავიფარე ზემოდან.ნაპრალიდან ვუთვალთვალებ სიტუაციას(ღამის პოლიციას ყველა გოგოები ყავს დაკავებული,პოლიციელიდან ერთერთი დაეჭვდება და ნაგვის ყუთს თავს მოხდის და დაიჭერს ჯევრიეს).

**ღამის პოლიციელი**-მოდით მოდით,აქ ერთი ფოსფორისებრი არის.

**ფოსფორლუ ჯევრიე**

**(მაყურებელს)**ეს დღე იყო და ეს დღე ფოსფორლუ ჯევრიე გახდა ჩემი სახელი.აქეთაც ფოსფორლუ  იქითაც ფოსფორლუ ... ხომ ვთქვი.რაც მახსოვს ჩემი თავი სტანბოლის ქუჩებში ვარ.მხოლოდ 1 წელი არ ვიყავი აქ.საპყრობილეში ვიყავი.მას შემდგომ ქალაქ ბოლუში იძულებით გადამასახლეს.გაწი გაწიე ერთი კვირა არ დავრჩენილვარ ბოლუში.მეტხანს ვერ გავძელი და სატვირთოს ჩავუხტი და დავბრუნდი თქვენთან.აგერ აქა ვარ.ჩემი გადასახლების მიზეზი ნარკოტიკი გახდა, ხომ მოგიყვათ ქალბატონმა (სუათ დერვიშმა )დიახ ესრარი (მარიხუანა ანუ ნარკოტიკი),მაგრამ არანაირად დამნაშავე არ ვიყავი ამ მარიხუანას საქმეში.თქვენ ველის არ იცნობთ.მისი ზედმეტსახელია ჩოფურ ველი

**ჩოფურ  ველი**-რაც მოხდა გიამბობთ

(უცებ ფოსფორლუ ჯევრიეს დააჭერს ხელში შეფუთულ პატარა პარკს.)აიღე ესენი

**ფოსფორლუ** - რა არის ეს|?

**ჩოფურ ველი** - ნუ მეკითხები,აიღე...(გაიქცევა )

(უცებ ერთი პლიციელი და ერთი ღამის მილიციელი გაჩნდებიან.მკლავებში დაიჭერენ და ასე წაიყვანენ ჯევრიეს განყოფილებაში.

**პოლიციელი**- შენ ეს შეფუთული პარკი ვინ გადმოგცა? მითხარი გოგო,მითხარი,მითხარი !

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)

ამას მოყვება სასამართლო...მაგრამ ვერ გამომტეხეს.ცემის და წამების მიუხედავად ვერ ვერ დამაფქვევინეს.იკითხავთ რატომ .ადამიანის სინდის ნამსუსი არ არსებობს?ჩაშვება და უნამუსობა არ მიქნია არასოდეს.არც არასოდეს ვიზამ.ყველაფერი იქით იყოს და ყველა მოვლენა რომ ავდგეთ და მილიციას მოვუყვეთ ,ეს სტანბოლის ქუჩები ციხეებად გადაიქცევა ჩვენნაირი ადამიანებისათვის.გაჩუმება ყველაზე კარგი არჩევანია ამ დროს.მივედი და კაცურად დავჯექი ერთი წელი ციხეში,გირჩევთ რომ თქვენც ასე მოიქცეთ ყოველთვის.ბოლობოლო ხომ ვცხოვრობთ ძირგავარდნილ ქვევრივით

წუთისოფელში.ბოლო ბოლო ეს ცხოვრება ხომ ჯობია სასაფლაოს...ასე არ არის დებო და ძმებო!

## ცხოვრების არჩევა

*ჩვენი სინდისი  და ნამუსი*

*გვეტყვის ჩაშვებები არ ქნა*

*თუ აირჩიე ქუჩის ცხოვრება*

*ფრთხილად იყავი ,არ ქნა.*

*ქუჩის კანონია მკაცრი*

*შეცდომას არ გაპატიებს*

*თუ გაიგე არ გაგიგონია*

*და თუ ნახე არ გინახავს!*

*დავუშვათ შეცდომა მოხდა*

*პოლიციას დაუფქვი ყველაფერი*

*კარგი დასასრული არ აქვს ამ საქმეს*

*ქუჩები არ შეგიბრალებენ არა!*

*ესეიგი ყველაზე სწორი*

*ჩვენი სინდისი  და ნამუსია*

*თავები მაღლა ავწიოთ*

*და ავირჩიოთ ცხოვრება ასე !*

*ქუჩამ გვასწავლა ასე*

*ამ არჩევანის ფასი*

*ჩვენ გვაქვს სინდისი*

*ჩაშვება ცოდვად ითვლება ჩვენში!*

(მაყურებელს) მოვედით ამ ეპიზოდამდე.ჯიბე ცარიელია, გახვრეტილი გროში არ ჩხრიალებს ჯიბეში.კუჭი წითელს აჩვენებს შიმშილისაგან.დანაყრებაც არ შველის უკვე ამ

საქმეს.გასათევი ადგილიც ხომ საჭიროა ?ახლავე.გამოსავალი?აი გამოსავალიც მოსულაა.ეს ერთერთი ჯარისკაცია.საიდან ვიცი? ხელში უჭირავს ხის ჩემოდანი ,თმაც ახოტრილი...

**ფოსფორლუ ჯევრიე-** საღამო მშვიდობისა ბიჭუნა

**ჯარისკაცი**-საღამო მშვიდობისა დაიკო

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ერთი სიგარეტი მომე რა(გამოართმევს)ერთიც წამიკიდე ჩემო ჯარისკაცო

**ჯარისკაცი**-ჯარიკაცი რომ ვარ საიდან მიხვდი?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მივხვდები მე ჩემო ლომო.ესაა ჩვენი საქმე.საით მიემგზავრები?

**ჯარისკაცი**-ბაირამის დასვენებაზე მივდივარ სახლში.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ცოტა ფულს ხომ არ მომცემ?

**ჯარისკაცი**-რატომ უნდა მოგცე ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მშია(მიეკეკლუცება)მალე უნდა წახვიდე?

**ჯარისკაცი**- არა

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მაშინ ცოტა ვისაუბროთ თუ ასეა

**ჯარისკაცი**-წასასვლელი ადგილი არ გვაქვს რო?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ ჯარისკაცი ხარ ,ჯარისკაცი მუხლს მოიდრეკს ფოტოს გადაიღებს.შენ ყველგან შეგიძლია ფოტოს გადაღება(ჩაიღიმებს) მაგრამ (ნაგვის ყუთისკენ მიუთითებს )მაგრამ ვინმე დაგვინახავს?

**ჯარისკაცი** -არ დაგვინახავენ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-თუ ბევრს არ იკვნესებ სიამოვნებისგან, არავინ დაგვინახავს.

**ჯარისკაცი**-რამდენი უნდა მოგცე?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-საჭმლის ფული საკმარისია

**ჯარისკაცი**-ლუქს რესტორანშიც საჭმელიცაა და ქუჩაში საჭმელიც.გაჩნია რომელი გინდა.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ლობიო და ფლავი გვეყოფა ჩემო ლომო და ერთიც გზის ფული საკმარისია.

(ვითომ ნაგვის ყუთების უკანა მხარეს გადავლენ )

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ქირმიზი მეშინ, ფარალარ ფეშინ .(წითელი ქესე, ფულები ხელზე)

**ჯარისკაცი**-აბა ლობიო რომ მითხარი.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ფლავიც არის.

**ჯარისკაცი**-ავტობუსის ფულიც უნდა დავიტოვო.გზა გრძელი მაქვს.სხვა არა მაქვს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ღმერთმა ბარაქა მოგცეს.

**ჯარისკაცი**- ბარაქა გეპოვნოს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მოიცა ფეხის ხმაა,დაწექი(თავს აწევს და გახედავს)ეს ჩვენი შტერი მარიკაა.

(მოისმის სასტვენის ხმა და ყვირილი )

ვაიმე !პოლიციელები! გაიქეცი,არ გაჩერდე !დაგვიჭერენ.

(ჯარისკაცი ერთი ხელით შარვალს იწევს და მეორე ხელით ხის ჩემოდანს იღებს და სიბნელეს შეუერთდება).

**ხმელი აითენი**-(ღამის პლიციელი დაიჭერს.)ჩემი შანსის შუაგულში ჩ....... !

**ღამის პოლიციელი**|-რომელი მხრიდან გაიქცა?

**ხმელი აითენი**-მე რა ვიცი.

**ღამის პოლიციელი**-მუშტი მოგხვდება !ადექი ფეხზე!

**ხმელი აითენი**-ღარიბი მოსაპარად გასულა და მთვარე ადრე ამოსულაო.ასეთი შანსის შუაგულში ჩ.......!

**ღამის პოლიციელი-ნუ** იგინები!

**ხმელი აითენი**-კაი,მაშინ თაფლისკვერს მოგცემ!

**ღამის პოლიციელი**-ვინ იყო იქით მხარეს რომ გაიქცა?

**ხმელი აითენი**-მე რავიცი

**ღამის პოლიციელი-** ვინ იყო მეთქი!

**ხმელი აითენი**-სახეზე რომ შემეხედა ამის საშუალება არ მომეცა.ჩამიქროლა და წავიდა.

**ღამის პოლიციელი**-ტო ერთმანეთსაც იცავთ.მაგრამ მაინც დავიჭერთ მაგას.

**ხმელი აითენი**- აი ამას დაიჭერთ. (ხელით ანიშნებს)

**ღამის პოლიციელი**-ქალო ნუ უზრდელობ!

**ხმელი აითენი**-უზრდელი მამაშენია.

**ღამის პოლიციელი**-მუშტი მოგხვდება!ქალკაცა მელაჰატი იყო არა?

**ხმელი მელაჰატი**-ქალკაცა არა კაც ქალა იყო ! შენ ერთი სათვალე იყიდე უფროსო .ცხვირწინ ვერ ხედავ უკვე.

**ღამის პოლიციელი**-ქალო მე ათას ქალში გავარჩევ ქალკაცას.ბურთივით ხელიდან გაქცევა შეძლო, სხვა ვინ მოახერხებდა ასე.

**ხმელი აითენი**-არის.

**ღამის პოლიციელი**-ვინ?

**ხმელი აითენი**-მე

**ღამის პოლიციელი** -შე მუნიანო  კატავ!ამიტომაა შენ შემრჩი ხელებში?

**ხმელი აითენი**-(მუხლიდან სისხლი სდის და აჩვენებს)რომ არ დავცემულიყავი  ვერც დამიჭერდი მე შენ.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)

უცებ გაქანდა რაღაცა ნაგვის ყუთის მხრიდან.ჩავიწიე მაგრამ უშედეგოდ

**ღამის პოლიციელი**-ადექი ფეხზე!

**ფოსფორლუ ჯევრიე-** (ფეხზე დგება)

**ხმელი აითენი** -ვაიმე!(ერთმანეთს ჩაეხუტებიან,ჩურჩულით დაიწყებენ საუბარს)

**ხმელი აითენი**-(ტირილით)მომნატრებიხარ

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ჩემი სახელი არ თქვა ხმელო.მეც ყველანი მომენატრეთ.ძალიან გამხდარხარ გოგო.ძვალი და ტყავი დარჩენილხარ.

**ხმელი აითენი** -მძღნერი ვჭამეთ გოგო.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(შუბლზე ხელს ადებს) სიცხეც გაქვს გოგო.

**ხმელი აითენი**-დაიკიდე.

**ღამის პოლიციელი**-როლებს ნუ თამაშობთ აქ, ამოძრავდით!

## პოლიციის განყოფილება

დაკეტილ ენებს
დახურულ ვარდებს
უსარკო პოლიციელი
ხომ დაგიკავებს

ნაჩხუბრები არ მოვიდნენ
მსროლელები არ ჩავარდნენ
თუ არ შერიგდებიან
კომისარს არ დაენახონ

სასამართლოში წასვლამდე
მიზანია შერიგება
მოსამართლე ლოცვებით
დაგვცინის ვაი მე!

კახპები განყოფილებაში
ლოთები ისევ დუქნებში
დაჭრილები საავადყოფოში
ეს არის განყოფილება!

*უსარკო პოლიციელი*
*ბეიოღლუს ღამაზმანი*
*აგერ აქა ვართ ყველანი*
*ცისფერი, ბოზი და ტრავესტი*

**ფორფორლუ ჯევრიე-** (მაყურებელს)
განყოფილებაში უფროსის მოადგილის ოთახში შევედით

**ღამის პოლიციელი-** აქეთ დაჯექით.
(დაჯდებიან. ხმელი აითენი უცებ დაჯდება და თავს დადებს ფოსფორლუს მხარზე)

**ფოსფორლუ ჯევრიე-**(ხმელ აითენს)
უფროსის მოადგილე?ღამის პოლიციელი?ესენი ახლებია?
ხმელი აითენი-დიახ

**უფროსის მოადგილე**-(პირდაპირ ორი კაცი დგას)
გასაგებია ტო?
ვიღაცა-დიახ
ვიღაც სხვა-დიახ

**უფროსის მოადგილე**-თუ გულით არ გინდათ მეც აზრს შევიცვლი!

**კაცები** (ვიღაცეები ერთხმად)-გვინდა

**ვიღაცა** ერთერთი-მაგრამ კომისარო მან ბოდიში მოიხადოს ჯერ

**უფროსის მოადგილე**-თუ ასე ჯერ შენ მოიხადე ბოდიში! მიდი ბიჭო!(კაცს პირიდან გაუგებარი ბოდიში ამოხდება)

**უფროსის მოადგილე**-გამოვიდა ეხლა ეს?

**ვიღაცა**-არ გამოვიდა?

**უფროსის მოადგილე**-არა.უფრო გასაგებად თქვი.

**ვიღაცა**-დიდი ბოდიში

**უფროსის მოადგილე**-შენც თქვი

**მეორე**-დიდი ბოდიში

**უფროსის მოადგილე**-არაა საკმარისი!ჩაეხუტეთ ტო!(ჩაეხუტებიან ერთმანეთს მაგრამ ძალით.)

**უფროსის მოადგილე**-თითქოს ჩხუბობდეთ ეგრე კი არა უნდა ეხუტებოდეთ!გულით უნდა ჩაეხუტოთ!მეგობრულად!აი ასე!დაახვიეთ ეხლა აქედან !თუ კიდევ ერთხელ იჩხუბებთ ჯობია საერთოდ არ მოხვიდეთ და დამენახოთ.ჯობია

ზღვაში ჩაიგდოთ და დაიხრჩოთ თავები გირჩევნიათ!გასაგებიიააა?
**ერთად კაცები** -გასაგებია უფროსო
**უფროსის მოადგილე**-წადით ეხლა იალა!იარეთ(ერთად გავლენ.ღამის პოლიციელს ეკითხება.)მეორე სადაა?
**ღამის პოლიციელი**-ხმელი აითენი ისევ გაგვექცა ხელიდან.ცდილობენ რომ დაიჭირონ.

**უფროსის მოადგილე**-შენც წადი.სამი ოთხი კაცი კიდევ მოიყვანეთ რომ ცოტა ხალხმრავლობა ჩანდეს.ესენი დავიჭირეთ თქო ვიტყვით.(ღამის პოლიციელი გავა.უფროსის მოადგილე სიგარეტს გააქანებს.ფოსფორლუ სიგარეტის აღების მიზნით ხმელი აითენის თავს გაწევს სკამზე მიაყუდებს  და წამოდგება ფეხზე.და სარკის წინ თავის თავს შეხედავს და მოწესრიგებას დაიწყებს).

**უფროსის მოადგილე**-ბალოზე არ მიდიხარ!ზედმეტად არ გაიპრანჭო!თვალწინ არ იტრიალო!
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ტრანსპორტის სამსახურის უფროსი ხარ ?
**უფროსის მოადგილე**-
(მოეწონება,გაცნობას ცდილობს.)ახალი ხარ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(ჩაიხითხითებს)შენც ახალი ხარ მგონი უფროსო.მანქანის ნომრის გარეშე ჩვენ არ ვსეირნობთ.თუ დამნაშავე ვარ, გამომიწერე ჯარიმა!(სიგარეტს იატაკიდან აიღებს და უფროსის მოადგილესთან მივა) ცეცხლი წამიკიდე უფროსო!

**უფროსის მოადგილე**-(მოეწონება)სად იყავი გოგო ამ დრომდე?

**ფოსფორლუ ჯევრიე**--დეფიციტში ვიყავი.

**უფროსის მოადგილე**-რა გქვია შენ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ლეილა.

**უფროსის მოადგილე**-დააგდე ეგ.ბიჩოკი.როგორც მივხვდი შენ ჩვენი ფასიანი კლიენტი ყოფილხარ.(კოლოფიდან სიგარეტს მიაწვდის).

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(აიღებს)მადლობა უფროსო.

**უფროსის მოადგილე**-გადააგდე აწი ეგ ბიჩოკი.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ზედმეტი საქონელი თვალს არ გამოგთხრის (სიგარეტს ყურში გაირჭობს.)

**უფროსის მოადგილე**-რა  ხდება გოგო შემოდგომის ფოთოლივით კანკალებ.ავად ხომ არ ხარ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-არა რა უფროსო.ცოტა ტრაკი გარეთ დამრჩენია.

**უფროსის მოადგილე-**ეს რაღაც გარეთ დარჩენილ ტრაკს არა გავს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მომწარო ბადრიჯანზე ყინვა არ მოქმედებს უფროსო რა.(გამონათქვამები).შენ მე შემეშვი ეხლა ხმელ აითენს შეხედე როგორ დასუსტებულა. მაგარი ცუდადაა.(ჩურჩულით).მგონი ფეხებს გაფშიკავს.

**უფროსის მოადგილე-**შენ მაგას შეეშვი ,შენს თავს მიხედე.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე რაღა მიჭირს უფროსო?თბილ ოთახში ვართ,სიო თუ არ დაგიქროლებს თავში და გამგეობაში თუ არ გაგვაგზავნი ,ჩვენ აქ  მოვკალათდებით როგორმე.

**უფროსის მოადგილე-**საქმეს ნუ გვასწავლი!

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ბოლო ბოლო კუდით დაჭერილი გყევართ.ამ ღამესაც აქ გავათევთ.გავთბით ცოტა.გარეთ ყინავს.მაღალ ტროტუარებზე სირბილი და ხიდზე გადასვლა ძნელია უფროსო.ახლა საპყრობილე პირამდე სავსე და ეცივება კიდეც. (შეაკანკალებს)

**უფროსის მოადგილე-**ნუ შემითამამდი .არ გააგრძელო!

**ფოსფორლუ ჯევრიე**- (უფროსმა ჩაი რომ დალია შეამჩნევს)უფროსო ჩაი ცოტა ჩამიტოვე.

**უფროსის მოადგილე-**(ჩაის მიაწოდებს თითქოს მაგრამ არ მისცემს.)ამაღამ საქმეზე არ გადიხარ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ხურდას არ ვხმარობ უფროსო.ჯიბეში ჩეკი მაქვს.მოგცემ ერთ ჩეკს და მიდი ბანკში და მოხსენი.

**უფროსის მოადგილე-**(მოეწონება)კარგი.მეჩაიე მოვიდეს და ერთ ჩაის გითავაზებ.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მადლობა უფროსო.ისედაც თქვენნაირი ადამიანების

კისერზე დგას ეს სამყარო.ამ საღამოს მორიგე რომ ყოფილიყო ჯემილ უფროსი სითბოთი რომ არ გვესარგებლა ფანჯარას გააღებდა.უღმერთო!

**უფროსის მოადგილე**-(უცებ გაბრაზდება)ხმა ჩაიგდე !

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს) ცული ქვას მოვარტყით მგონი...

**უფროსის მოადგილე**-ჯამილს ორი თვის წინ ესროლეს და გარდაიცვალა.მის ადგილას მე მოვედი.ბევრი სიკეთე მახსოვს მისგან.ჩემი კუთხიდან იყო.(გაჩუმდება)

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ღმერთმა გაანათლოს მისი სული.(უცებ ჩათლაქი მარიკა შემოვა, უკან მოყვება  პოლიციელი.მარიკას დაგლეჯილი ქურქი აცვია.მთვრალია როგორც ყოველთვის.)

**ღამის პოლიციელი**-მარიკა ამაღამაც გალეშილია.

**უფროსის მოადგილე**-ისევ ამ მდგომარეებაში ხარ მარიკა?

**ჩათლაქი მარიკა**-დიახ ფაშავ.

**უფროსის მოადგილე**-

ურცხვი,მორიდებაც არა აქვს.

**ჩათლაქი მარიკა**-დიახ ფაშავ.

**უფროსის მოადგილე**-გოგო მე შენ გელაპარაკები.

**ჩათლაქი მარიკა**-დიახ ფაშავ.

**უფროსის მოადგილე**-სხვა რამე არ იცი შენ?

**ჩათლაქი მარიკა**-ჩემი სახელია მარიკა.ჩათლაქ მარიკას მეძახიან.მამის სახელია იორგო.დედის ერიფლი.ათას ცხრაას ოცდახუთში დავიბადე.სტანბოლელი,დასაქორწინებელი,ბავშ ი არა,სახლი არა და არავინ არა...

**უფროსის მოადგილე**-გაჩუმდი!დავიზეპირეთ!დასვით!აქ ხალხმრავლობა არ მჭირდება (პოლიციელი დასვამს ხმელი აითენის გვერზე.)

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მარიკა მომხედე(მარიკა შეხედავს, ვერ იცნობს და ჩათვლიმავს.)

გარედან ხმაური შემოდის.პოლიციელს ქალკაცა მელაჰატის მეთაურობით ყველა შემოყავს.ამის შემდეგ ჩემოდნით ხელში ჯარისკაცი და ბოლოს გულნაზი და ხათაბალა გულსერენი.ყველა აყანყანდება)

**უფროსის მოადგილე**-ნუ ყვირიხართ!

**ქალკაცა მელაჰატი**-ამ წუთისოფლის დედაც .ლაპარაკის უფლებაც არ გვაქვს.

**უფროსის მოადგილე**-გცემ ეხლა გოგო !

**ქალკაცა მელაჰატი**-მიდი და შენი ცოლი სცემე!

**უფროსის მოადგილე**-ქალკაცა ფეხქვეშ დაგაგდებ ეხლა!

**ქალკაცა მელაჰატი**-რა მოხდა ძილი ხომ არ დაგიფრთხეთ?

**უფროსის მოადგილე**-გაჩუმდი ახლა!

**ქალკაცა მელაჰატი**-

გავჩუმდი,კარგი(ფოსფორლუ მელაჰატს მხარზე ხელს შეახებს.) ვაი ვაი ფოსფორლუ…

**ფოსფორლუ ჯევრიე** (ჩურჩულით)ჩემს სახელს ნუ ამბობ.ნაცნობი რომ იყოს ვინმე,დავიწვები.გამონაქცევი ვარ.

**ქალკაცა მელაჰატი**-აქაური კადრი შეიცვალა.ვერავინ  გიცნობს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-რა იცი რა ხდება.ჩვენ მაინც მზად ვიყოთ.რა არის ეს მუხლიდან სისხლი გდის.

**ქალკაცა მელაჰატი**-ჯარისკაცის ჩემოდანს ჩამოვკარი,(ნაიარევ ფეხს აჩვენებს)ჩემოდნის საგორაო რომ არ გამხეთქვოდა ვერ დამიჭერდნენ. ქალო აქა ხარ ანუ? სამყარო ჩემი  მგონია.ქალაქ უშაქში იყავი?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ბოლუში ვიყავი.მაგრამ ერთი კვირა ძლივს გავძელი. აქ რაც არ უნდა ციხეში ვიყოთ,  ბოლუც ციხესავით პატარა ადგილია.ციხეზე უარესი ტო !ფული არაა ,არაფერი.აქეთ მიჩვეული ვართ სტანბოლის ქუჩებს.ციხესიმაგრეებს,კედლებს.ამ ისტანბულის სასაფლაოზიც კი მომენატრა.სატვირტო მანქანა ვნახე ქალაქის ბოლოში.ერთი ხეიბარი მძღოლი იყო,ვუთხარი წამიყვანე მეთქი მაგრამ ფულიც არ მაქვს მეთქი.ტვირთებთან ერთი ადგილი გამომიყო და მითხრა აქ არ შეგცივდებაო .ამოხტიო მითხრა.

**ქალკაცა მელაჰათი**- ანუ ადამიანები ისევ არსებობენ  .

**ფოსფორლუ ჯევრიე- მამაკაცები**

უმიზეზო არ არის
სიცოცხლის აზრია ეს
დედა ერთი ,და მეორე
დანარჩენს აჩვენებ ყ...ეს!

აჰ კაცებო, კაცებო
ეს არის თქვენი დარდი მხოლოდ
დედა ერთი , და მეორე
დანარჩენს აჩვენებ ყ...ეს!

ასე არ ვარო ვინც ამბობს
არ დაიჯეროთ არაო
ტყუილის თქმით ვინ მომკვდარა
დაახვევინე,ნუ დარდობ!

როგორ წავიდეთ სტანბოლში
ჯიბე გახვრეტილებმა
თქვეს ტვირთის მზიდველი
მოხუცი მძღოლიაო ერთი!
ადამიანური გაგებით,
სტანბოლამდე მომიყვანა
მაგრამ მთელი გზა გაჩერებებით
მიიღო რაც ეკუთვნოდა ...!

აჰ კაცებო,კაცებო,

*ეს არის თქვენი დარდი მხოლოდ*
*დედა ერთი , და მეორე*
*დანარჩენს აჩვენებ ყ...ეს!*

**ქალკაცა მელაჰათი**-გამიხარდა ფოსფორლუ.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ბებერმა 3 ჯერ რომ მიქნა მაგიტომ გაგიხარდა?

**ქალკაცა მელაჰათი**-შენ რომ გნახე მაგიტო ტო.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-საქმეები ცუდადაა.ეხლა თუ  უფროსობასთან გაგვზავნეს მოკვლევა ჩატარდება და მიხვდებიან რომ გამოქცეული ვარ და ისევ გამამწესებენ ბოლუში...შეიძლება სხვა ქალაქშიც...დამერხა მაშინ...რომც დამიჭირონ მელაჰათ, აი ამ ერთი წლის მონატრება როგორმე უნდა დავიოკო.

**ქალკაცა მელაჰათი**-შენ მშვიდად იყავი.ერთი გამოსავალი ვიპოვოთ და აქედან აგთესავ.!ცოტა მოვიფიქრო.

**უფროსის მოადგილე**-(ფეხზე მდგომი ჯარისკაცს) ნუ დგახარ ფეხზე დევივით.

**ჯარისკაცი**-პოლკოვნიკო...(ეს სიტყვა მაღალ ხმაზე  (პოლკოვნიკო) ყოველ ჯერზე ამბობს)
**უფროსის მოადგილე**-მე პლკოვნიკი ვარ ტოო?
**ჯარისკაცი**-არა პოლკოვნიკო
**უფროსის მოადგილე**-შენ რატომ მოგიყვანეს აქ?!
**ჯარისკაცი**-უნდა მომეფსა და ზუსტად ამ დროს დამაკავეს პოლკოვნიკო.
**ღამის პოლიციელი**-შარვალს იწევდა და ისე გარბოდა.
**უფროსის მოადგილე**-ვინა ხარ შენ?ეს ჩემოდანი რაა?
**ჯარისკაცი**-ჯარის ტანსაცმელები პოლკოვნიკო.
**უფროსის მოადგილე**-რატომ სამოქალაქო ტანსაცმელი გაცვია მაშინ?თუ გამოქცეული ხარ?
**ჯარისკაცი**-(ჯიბიდან ნებართვის ფურცელს გამოიღებს) ნებადართული ვარ პოლკოვნიკო.ბაირამის დასვენებაზე სახლში მივდიოდი.დამიღირეს და აქ მომიყვანეს პოლოვნიკო!
**უფროსის მოადგილე**-მეც დავიჯერე რა.
**ჯარისკაცი**-მადლობა პოლკოვნიკო.
უფროსის მოადგილე-მეც ამას შეჭამ რა.
**ჯარისკაცი**-პოლკოვნიკო გეხვეწები. ავტობუსი თუ გამექცევა დავიღუპე. თუ ღმერთი გწამს გამიშვი.ხელზე და ფეხზე გეამბორები.
**უფროსის მოადგილე**-დაქორწინებული ხარ?

**ჯარისკაცი**-დიახ.ჩემი ორი ქოჩორა ბიჭუნები ხელებზე გეამბორებიან პოლკოვნიკო.!
**უფროსის მოადგილე**-შე დაქნეულო! შე კიტრო შენა!ვინც წინ დაგიდგება,ყველაზე ქამარი შეიხსნება?მოსაფსმელად მიდოდა.ამას შევჭამდი გეგონა?
**ჯარისკაცი**-არ შეჭამდი პოლკოვნიკო.
**უფროსის მოადგილე**-დაავადება რომ აგეკიდა ღმერთმა დაგიფაროს ,მაშინ რა მოხდებოდა.ყლორტი რომ მოგეტეხა მაშინ რა მძღნერს ჭამდი. შე კიტრო!
**ჯარისკაცი**-მართალიხარ პოლკოვნიკო.
**უფროსის მოადგილე**-ღილიც კი არ შეგიკრავს ჯერ!
**ჯარისკაცი**-შევიკრავ პოლკოვნიკო.
კიდევ ერთხელ რომ დაგინახო აქ ფეხებს მოგატეხავ ღმერთმანი!დაახვიე ჩქარა!
(ჯარისკაცი ჩემოდანს დაავლებს ხელს და სირბილით გაიქცევა.)
**უფროსის მოადგილე**-შენ რა გქვია?
**გულნაზი**-(*თმები შეღებილი.მოსხმული აქვს ყვითელი მოსასხამი.სახეზე ბევრი მაკიაჟით,კეკლუცად)*- გულნაზი
**უფროსის მოადგილე**-მამის სახელი?
**გულნაზი**-(თავაზიანად ) აბდულა
უფროსის მოადგილე-დედის სახელი?

**გულნაზი**-ჰავვა.
**უფროსის მოადგილე**-წარმომავლობა საიდან?
**გულნაზი**-ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი.
**უფროსის მოადგილე**-რამდენი წლის ხარ?
**გულნაზი**-15 თხუთმეტი.
**უფროსის მოადგილე**-რაააა?
**გულნაზი**-ოცდა ხუთი იყოს
**ქალკაცა მელაჰათი**-
(ფოსფორლუს)მოემზადე...სიტუაცია რომ აირევა აქედან გაიქეცი.(ქალკაცა ფეხზე დგება და დაიყვირებს ) ვყიდი ,გავყიდე და დაყაჭეთ ფსონები ..
**გულნაზი**-რას ამბობ შეჩემა შენ!
**ქალკაცა მელაჰათი**- ორმოცდაათი
**გულნაზი** -(ადგილიდან დაიძრება და ქალკაცა მელაჰათს ეცემა.)დედას შ.....!(თმებით ითრევენ ერთმანეთს .უფროსის მოადგილე და პოლიციელი ცდილობ გააშველონ ,ამ დროს ფოსფორლუ თვალსადახელსშუა გაქრება.ჩხუბიც ეგრევე შეწყდება.)
**უფროსის მოადგილე**-(პოლიციელს)ამათი რეგისტრაციაა დაამთავრე.გადავაგზავნოთ ესენი განყოფილებაში!
**ხათაბალა გულსერენი**-(მიმართავს პოლიციელს რომელიც ითვლის) ჩემი თავის ქალაც მიათვალე. (ყველა იცინის)

**უფროსის მოადგილე**-ყველა ფეხზე წამოდექით!(ხმელ აითენზე უთითებს) ეგეც წამოაყენეთ.(პოლიციელი ხმელ აითენს აყენებს,აითენი ისევ ჩაიმუხლება)

**უფროსის მოადგილე**-გალეშილი მთვრალია!

**ღამის პოლიციელი**-მთვრალი არაა ავადაა კომისარო(ხმელი აითენი არწყევს)

**გულნაზი**-(გამწარებული)პირიდან სისხლს არწყევს!

**უფროსის მოადგილე**-ჩქარა მაშველი მანქანა (სასწრაფო დახმარება) გამოიძახე !დარეკე ტელეფონზე ,ნუ გაშეშდი!ჩვენს თავზე არ ავიღოთ !(პოლიციელი სანამ ტელეფონზე რეკავს ,ქალები ხმელი აითენს თავზე დასტირიან .)

## ფოსფორლუ ჯევრიე-

(ქოშინით,მაყურებელს)

ოჰ !ეს წუთისოფელი რა ყოფილა.სირბილ სირბილით რამდენიმე ქუჩა გავირბინე.სუნთქვა შემეკრა,გავჩერდი.იქიდან გავუჩინარდი.აწი ნელნელა განვაგრძობ გზას, იძულებით,რადგან სუნთქვა შემეკრა. ერთი პასაჟის შესასსვლელთან შევჩერდი. ქვის კიბეებზე ჩამოვჯექი.ოფლი დამესხა. თვალები მეხუჭება,თითქოს მეძინება.

თავი კედელს მივაბჯინე.მუხლებ მორთხმული დავჯექი. მოვიკუნტე. ისე ჩამძიმებია ვერ გავიგე. (მოკრძალებული ნაბიჯებით კაცი შემოვა)
**კაცი**-ვინ ხარ?აქ რას აკეთბთ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ჩამძინებია.
**კაცი**-გადით აქედან სხვაგან დაიძინეთ.(ფოსფორლუ ფეხზეადგომას შეეცდება.თავბრუ დაეხვევა და ჩაიკეცება.)
**კაცი**-(შეშინებული ხმით)
რას აკეთებთ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვდგები.თავბრუ დამეხვასავით.
**კაცი**-ჩქარა ადექით და წადით აქედან!
**ფოსფორლუ ჯევრიე**-საავადმყოფოდან დღეს გამომწერეს ბატონო.აქ ერთ ნაცნობთან ფულის გამოსართმევად მოვედი.ისიც ტრაბზონში წასულა.ტრამვაისის ფულიც არა მაქვს ბატონო.შემეშვი და აქ ცოტას გავიზნიქები .დილით ღმერთი დიდია .
**კაცი**-(შეამჩნევს რომ კანკალებს ,პალტოს გაიხდის და მოახურავს.) თქვენ ავად ხართ
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვკვდებოდი მეგონა.
**კაცი**-ვერ გავიგე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ამ ლამაზ სამყაროს თითქოს ხელებიდან მაცლიან. ფეხებს ვფშიკავ თუ რაა
**კაცი**-ვერ გავიგე.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს) ვაა ეს რა მონშერს შევხვდი! (კაცს)შემომხედე ბატონო... ცა ვარსკვლაბითაა სავსე. რამდენი ვარსკვლავია. თითო ვარსკვლავი, თითოეული ჩვენთაგანის ვარსკვლავი ყოფილა. ვინც მოკვდება, იმის ვარსკვლავი თურმე ციდან იკარგება. თითო ვარსკვლავის ჩამოვარდნაზე ერთი ადამიანი კვდება.ნეტავი ჩემი ვარსკვლავი რომელია? ფოსფორივით რომ ანათებს, ეგ პატარა ხომ არა?

**კაცი**-(ეჭვით)აქაურობა ცოტა საშიშია.შეგიძლია ადგე?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე რომ მოვკვდე ნეტავი რომელი ვარსკვლავი მოწყდება?რომ მცოდნოდა კიბეს ავაყუდებდი და ლურსმნით მივაჭედებდი ცაზე.

**კაცი**-გიჟივით ნუ ლაპარაკობთ!შეეცადე ადგე .

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(კანკალით)სულია ეს ბატონო, (ადგომას დააპირებს და ისევ ჩაიკეცება.)მგონი ამაღამ კუდს გავაკანკალებ. (გამონათქვამი)

**(სასტვენის ხმა და ყვირილის ხმა ისმის)**

**კაცი**-ზევით ავიდეთ ბარემ.(ერთ ხელში პარკი,მეორეთი ფოსფორლუს წამოდგომაში ეხმარება.)ხმა არ ამოიღოთ.არ ილაპარაკოთ საერთოდ.(სასტვენის ხმა ახლოდან

მოისმოდა.პასაჟის შესასვლიდან შიგნით შემოდიან.)

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)საფეხურებსგულში ვითვლიდი სათითაოდ.შესვენებებით.ბოლო ბოლო ერთი კარს მივადექით.კარი გასაღებით გააღო კაცმა.(*შიგნით შევლენ. ლამპას აანთებს.ლურჯი შუქი აქვს ამ ლამპას.ფოსფორლუს საწოლისკენ წაიყვანს,პალტოს გახდის და საწოლზე მიაწვენს.გადასაფარებელს მოახურავს. შეშის ღუმელზე დიდი სურა წყლის.ღუმელის კარს გააღებს.ასანთით ცეცხლს გააჩაღებს. საწოლისკენ გაივლის.*)

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)უნდა მიქნას.არაააა (კაცი ფარდისაკენ წავა, გარედან შუქი გადის თუ არა გააკონტროლებს.მერე შუქს აანთებს.ოთახი განათდება,მოპირდაპირედ ერთი პატარა კარი არის,შიგნითა მხარე ოდნავ ჩანს.სამზარეულოსავით რაღაცა ადგილი.ერთ ქვაბს გაზქურაზე დადებს.დანას,ჩანგალს და თეფშს  მაგიდაზე დააწყობს.მაგიდაზე საჭმელები აწყვია ... ყველი.. ზეთისხილი... პური...)

**კაცი**-მშიერი იქნები.შეგიძლია წამოდგეთ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-წამოვდგები ბატონო.

**კაცი**-თუ ვერ წამოდგებით .სინით მოგართმევთ.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-საჭმელი ლოგინში არ იჭმევა.
**კაცი**-მაგრამ ავად ხართ.(წამოდგება ფოსფორლუ,ნელ ნელა მაგიდასთან მოვა.სკამზე დაჯდება.)
**კაცი**-მგონი უკეთ ხართ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-კარგად ვარ ბატონო.
კაცი-დამელოდეთ.(სამზარეულოში შევა)(ფოსფორლუ უცებ ყველს დაიტაცებს და ჭამას დაიწყებს.ხელში პატარა ღრმა თეფშით მოვა კაცი.ღრმა თეფშს მაგიდაზე დებს.)
**კაცი**-ეს ჩორბა (წვნიანი) მოგიხდება.(პირი სავსე აქვს და ფოსფორლუ ვერ ლაპარაკობს.შეგერგოს.(რეპრესიიდან გამოქცეულივით ეცემა ჩორბას.)მივხვდი რომ ძალიან მოგშიებიათ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(თავის ქნევით დაუდასტურებს) ღმერთმა ბარაქა მოგცეს.(კაცი სველ ხელსახოცს მიაწვდის.ფოსფორლუ შეხედავს ისე თითქოს ანიშნებს ამით რა ვქნაო.)
კაცი-ხელები გაიწმინდეთ.პირიც.
(ფოსფორლუ გაიწმინდავს.კაცი დაეხმარება საწოლამდე მიიყვანს.შემდგომ მაგიდიდან ყველაფერს აალაგებს სამზარეულოში წაიღებს.და მაგიდას გადაწმენდს.)

**კაცი**-რაც გაცვიათ გაიხადეთ.გაგირეცხავთ.ამ პიჟამოს ჩაიცმევთ.ზურგით დავდგები.მშვიდად გაიხადეთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-რატომ შებრუნდებით რო?თუ გინდა შემხედე, თუ გინდა არ შემხედო.ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა.(რაც აცვია იხდის.და გადასაფარებელს გადაიფარებს.)
**კაცი**-მორჩა.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მოდიხარ?(კაცი მობრუნდება და მიუახლოვდება.)
**ფოსფორლუ ჯევრიე**(მაყურებელს)-გასაგებია.რა უნდა ქნა..
**კაცი**-(ხელს ფოსფორლუს შუბლზე მიადებს ) ცოტა სიცხე გაქვთ.ვნახოთ.(უჯრიდან თერმომეტრს გამოიღებს და იღლიაში ამოუდებს.ნახავს.ხელით პულსს გაუზომავს.სიცხე უნდა დაგიგდოთ.(კედელზე პატარა კარადიდან წამალს გამოიღებს და წყალსაც მიაწვდის.)დალიეთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ ექიმი ხარ ბატონო?
**კაცი**-(გაიღიმებს) არა.ექიმი არა ვარ ,ყველასავით მეც გამეგება ცოტა.ხვალ საღამომდე ჩემი სტუმარი იქნებით.თუ კარგად იგრძნობთ თავს ამაღამვე წახვალთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-თუ კარგადდ ვიქნები, დილით წავალ ბატონო.

**კაცი**-(შეეწინაღმდეგება)დღისით არ წახვალთ.წახვალთ მხოლოდ ღამით.ეხლა დაისვენეთ და დაიძინეთ.
ფოსფორლუ ჯევრიე-თქვენ სად დაწვებით?
**კაცი**-მე დივანზე დავწვები
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე აქ რატომ მომიყვანეთ?
**კაცი**-ავად ხართ.ქუჩაში ხომ არ გაგაგდებდით.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-სულ ეს არის?სახლში ქალების მომყვანი კაცები ბლომად არიან...
**კაცი**-კარგად დაიფარეთ.ჩუმდან იყავით,საპირფარეშო აი იქაა.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ეს შენი სახლი არაა?
**კაცი**-აქ ვცხოვრობ მაგრამ ჩემი არაა.ამ სადარბაზოს უფროსი ჩემი ნათესავია.სამსახური არ მაქვს,მაგრამ არავინ არ იცის აქ რომ ვრჩები,თორემ გარეთ გამაგდებენ და უსახლკაროდ დავრჩები.გასაგებად გითხარი?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-გავიგე ბატონო.(მაყურებელს)საბანი თავამდე ამოვიწიე.მოვიმძინარე თავი.კაცი მივიდა მაგიდაზე დადებული რაღაც პაკეტი გახსნა.შიგნიდან რაღაც პატარა ნაწილები გამოიღო და მათი გადარჩევა დაიწყო.გარედან თითქოს კიბეზე სიარულის ხმა მოისმა.კაცი ეჭვით იყურება და რაც ამოიღო პარკიდან ისევ

ჩადო  და მაგიდის ქვეშ დამალა.კარზე სამჯერ დაუკაკუნეს.

**ქერიმი**-მე ვარ ქერიმი .კარი გამიღე(კაცი შუქს ჩააქრობს და კარს გააღებს.ქერიმი შიგნით შემოდის .კაცი კარს დაკეტავს და შუქს ისევ აანთებს.

**კაცი**-დაგაგვიანდა.

**ქერიმი**-აქ ვინ წევს?

**კაცი**-ავად ყოფილა.შესასვლელთან იყო,გარეთ ვერ დავტოვებდი.მიხვედი იქ?

**ქერიმ**-მივედი,ვნახე.( პატარა პაკეტი მაგიდაზე დადო)საჭმელები, რაღაცეები გამოგიგზავნა.ყველიანი ბორექი გაგუკეთებია შენთვის.

**კაცი**-იტირა?

**ქერიმი**-იტირა.

**კაცი**-საწყალი ქალი.

**ქერიმი**-თავს მიხედოსო გადმოგცა. აა ცოტაც და მავიწყდებოდა .(ჯიბიდან ერთ პატარა პაკეტს ამოიღებს და მიაწვდის)

**კაცი**-(გახსნის პაკეტს.ერთი ჰალსტუხია.და ატირებამდე მივა)ვინ იცის რამდენს წუხს.

**ქერიმი**-კარგათ აწი შვილო.არ იფიქრო ამაზე.ხვალ ბაირამია.წუხილის საღამო არ არის.

**კაცი**-თუ ერთხელ მივალ და ვინახულებ არ გაგიკვირდეს.

**ქერიმი**-არ გაგიჯდე,დაგიჭერენ შვილო.
**კაცი**-ველარ ვუძლებ უკვე.რამდენი დღეა არ მინახავს.
**ქერიმი**-ნახავ აუცილებლად მაგრამ ახლა ამაზე ნუ ფიქრობ.(საწოლზე მიუთითებს)
ადამიანს რომელსაც არ იცნობ სახლში როგორ შემოგყავს შვილო.კარგია თუ ქურდი?პოლიცია ა თუ პოლიციიის კაცი?
**კაცი**-არა ჩემო კარგო.ერთი საწყალია.როგორც კი გამოკეთდება გავაგზავნი.
**ქერიმი**-შუქი ჩააქრე და მე დაბლა ჩავალ შვილო.
*(შუქს აქრობს კაცი და ქერიმი ჩუმად გავა.)*
**ფოსფორლუ ჯევრიე-**

## დაბანა განწმენდაა

*რამდენხანს ვიწექი არვიცი*
*შიში და კოშმარი*
*როგორც კი ვიღვიძებდი*
*თავზე მედგა ის კაცი.*

*კედლები თითქოს მოდიან*
*ხან დიდდება,ხან პატარავდება*
*თავაზიანი კაცი მამშვიდებს*
*ნუ გეშინია ოდნავ სიცხე გაქვს.*

*კაცის წასვლას ვერ ვიგებდი*
*როცა თვალს ვახელდი*
*მაგიდა მუდამ სავსე*
*"უდა ჭამო რომ გამოკეთდე!"*

*უცებ თვალები გავახილე*
*დავიფერთხე და ავდექი*
*აქურობა მივულაგე*
*ქალაქური ოთახი მოაწყვე.*

*მეც დავიბანე კარადაში*
*ჩავიცვი ტანსაცმელი*
*რა კარგია სისუფთავე*
*დავიბანე და განვიწმინდე.*

**კაცი**-(*შიგნით შემოდის.გაკვირვებული მიმოიხედავს.ყველაფერი სუფთააა.)*-ავად ხართ.ნუ გადაიღლით თავს.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-გამიარა ავადმყოფობამ.
**კაცი**-რამდენი დღე გავიდა იცით?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ხაზი გასმული მაქვს აგერ შეხედეთ.ექვსი.
**კაცი**-შვიდი.არაა აბანოს კარადაც კი გაგირეცხიათ
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მარტო კარადა არა ტანიც დავიბანე ბატონო.
**კაცი**-ამ სიცივეში დაიბანება?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-აქ ძალიან თბილა ბატონო.საწოლში ვარ რამდენი დღეა.ზედ ყველაფერი გაჭუჭყიანებული მქონდა.
**კაცი**-ღმერთით ვინმემ  არ გაიგონა.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ თავი არ აიტკივო ბატონო.შენ რასაც ამბობ  ყველაფერს წერტილ მძიმე ვაკეთებ.
**კაცი**-როგორ გალამაზებულხარ ასე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-რომ გამოვჯანმრთელდი,მაგის აღსანიშნავად გამოვიპრანჭე.
**კაცი**-(მაგიდას მოუჯდება) აქ მოდით.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(ჩაის ჩამოასხა ჭიქებში)დღეს მე გემსახურები.
**კაცი**-თქვენ ახლობელი არ გყავთ ვინმე?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ჩვენში დედ-მამა სადაა ბატონო.ობოლი ,უპატრონო,უსახლკარო ვარ.თითქოს სოკოსავით ამოვსულვარ მიწიდან.
**კაცი**-სტანბოლელი ხართ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-კი,სტანბოლის ტროტუარებზე აღმოვცენდი.პასაჟის სულ ბოლო სართულზე ვართ არა?პირველად რომ მოვედი იმ ღამეს ზევით რომ ამოგყავდი საფეხურები ზუსტად ასი ცალი იყო.
**კაცი**-ვაი შეეეენ,დათვალე არა?ღვინოს დალევ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ თუ დალევ მეც დავლევ ბატონო...მოიცა მოვიტან ახლავე, დალაგების დროს ვნახე სამზარეულოში.(*მოიტანს,ჭიქებს შეავსებს.კაცი ყლუპებით სვამს.დიდი ფანჯრიდან ცა მოჩანდა და ვარსკვლავები.*)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვარსკვლავები ვარსკვლავად რომ არსებობენ რა კარგია ბატონო .ანუ მარტო რომ ანათებენ.ქალაქის მერიას ქუჩებში ანთებული აქვს  ლამპიონები ,ვარსკვლავებით ღმერთიც ლამპიონებია.ვარსკვლავები ცის შესაკაზმად მანდ მიურჭვია. მუცლის მოცეკვავეების კაბას ვამგვანებ ამ ვარსკვლავებს.შენ იცი მუცლით მოცეკვავეები?
**კაცი**-დედამ წამიყვანა ბავშვობაში მაგრამ მთლად არ მახსოვს.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-დედამ?
**კაცი**-რატომ გაგიკვირდათ,მეც ყველასავით დედა მყავს.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-სად ცხოვრობს?სტანბოლში?
**კაცი**-(*ჩაფიქრდება*) არა ძალიან შორს
**ფოსფორლუ ჯევრიე**-შორსაც რომ იყოს დედა გყავს მაინც.მე საერთოდ არ მყოლია.
**კაცი**-დედის გარეშე ბავშვები არ იბადებიან.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მოკლედ აგერ მე ვარ...რაც თავი მახსოვს ხიდის ქვეშ მძინავს და ზღვაში ვცურავ. (*დაადუმინებს*)ხიდის ქვეშ ზღვის ფერი რა ლამაზია.აქვამარინივით ცისფერია.გალათის ხიდის ქვეშ ზღვა ძაან ღრმაა,ფსკერამდე ვერ მიხვალ.რომც ჩაყვინთო ძირი არ უჩანს.პატარა ბიჭები ამბობენ, რომ მანდ სიღრმე 7 სვეტის სიმაღლე არისო.ხიდის ქვეშ ხავსის და გემის სუნით ყარს.ზღვაც ყარს.ზღვის და თევზის სუნი,ძალიან მიყვარს ამის გამო.ზღვას ზუსტად საზამთროსავით სუნი ასდის.როდესაც ფეხებს ჩავაყუდებ მაშინვე საზამთრო მომინდება.ხანდახან ნავებიდან ნაგავი იყრება ზღვაში.ლოდოსის ქარი როდესაც ამოვარდება მაშინ ნაგვის სუნს შეუერთდება.ნახე მერე თოლიების პანტომიმა.საწყალი თოლიები.ვითომ კარგი რამე უპოვნიათ ისე დაესევიან.ნაგავს როდესაც ზღვა გარეთ გამორიყავს მაშინ ბავშვები მიესევიან,ამ ნაგავიდან ნეტა იცოდე რეები ამოდის.ყუთები,ხეები,ხეს გაახმობ და და გაყიდი.პურის ფულად გამოიყენებ.
**კაცი**-გავიგე.დედას არ იცნობთ?მაგრამ მამას?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ძალაინ პატარა როდესაც ვიყავი,ერთი ავადმყოფი მამაკაცი იყო ჩვენთან.გამხდარი და მაღალი.შეიძლება ეგ კაცი მამა იყო,რადგან როდესაც მახსენდება მაშინაც კი

მიყვარს ის.დავდარდიანდი ტო.იცი რაა ბატონო?მამაჩემი ის მოხუცი ,გამხდარი კაცი იყო.მამაჩემი რომ არ ყოფილიყო მე ასე ძალიან შემიყვარებდა ან მომხედავდა?ცხელ ცხელ წაბლებს მიყიდდა.თვითონ არ ჭამდა და მე მაჭმევდა.როდესაც ვწვებოდი ჩემს გაყინულ ფეხებს გულმკერდზე მიიდებდა.რაც იყო დამაფარებდა, პირველ ღამეს შენ რომ პალტო მომახურე ზუსტად მამაც ასე პალტოს მომასხამდა ხოლმე.მამა ხიდის ყველაზე ბნელ ადგილას წამიყვანდა ხოლმე.ერთ დღესაც ამ ხიდის ქვეშ გარდაიცვალა.ძალაინ ბევრი ვიტირე.მე როდესაც ვტიროდი ხიდის ქვეშ უპატრონო ბავშვები თითით მიანიშნებდნენ ჩემზე.თუ ქუჩის ბავშვებს ბავშვთა თავშესაფარში წასაყვანად მითითებდნენ არ ვიცი.პოლიციელებიც იყვნენ.რაიმე ხომ არ დავაშავე?გავიქეცი იქედან.ხტომა ხტომით ავითესე,შემდეგ ერთი წყაროსთან დავიმალე.ღამე აქიდან ავოვიდოდი და ნაგავსაყრელში ბოსტნეულს თოლიასავით ვეძებდი.ღმერთი დიდია.ღმერთი თავის შვილების ლუკმას ქვაზე დადებს.სტანბოლი საოცარი ადგილია.იმდენად ბევრ ღარიბს ინახავს,რომ ბევრს უფასოდ გააქვს თავი.ტყუილად ხომ არ ამბობენ სტანბოლის ქვაც და მიწაც ოქროაო.ღმერთის საქმეში არ უნდა

გაერიო.ბედი რაც გიწერია ისე იცხოვრებ.ამის მეორე მხარეც არსებობს,რაც ამ წუთისოფელში გვაკლია იმ სამყაროში უფალი მოგვცემს.რაც მოგვინდება ყველაფერს მოგვართმევს.საჭმელი,სასმელი...ბეიოღლუს დუქნებიდან ბეწვის ყვავილებიანი ქუდები.მეორედ მოსვლის ჟამს ყველაფერი მიწასთან გასწორდება.მიცვალებულები სუდარებიანად წამოხტებიან  საფლავებიდან.შენ მელან მონალოკ კაცს გავხარ უფროსო.როგორ არ გაგიგია,როგორ არ იცი ესენი?თუ არ გწამს?თუ არ გწამს , ასეთი კარგი როგორ შეიძლება იყო.ღმერთო ჩემო...თუ სამოთხის არ გვჯერა მაშინ რა იმედი უნდა გვქონდეს ამ წუთისოფელში.

**კაცი**-მეც სამოთხის მჯერა,მაგრამ ჩემი სამოთხე იქითა ცხოვრებაში კი არაა.აქ შექმნისათვის ვბრძოლობთ.ყველასთვის ასეა.ინგისელი,გერმანელი,ამერიკელი,ფრანგი,იტალიელი,რუსი,თურქი,ბერძენი,ქურთი,სომეხი,ქართველი ასე გამოყოფა არ შეიძლება.ორნაირად გაირჩევა ამ  ცხოვრებაში  მდიდრები და ღარიბები.

**ფოსფორლუ ჯევრიე-** ( მაყურებელს)სამოთხე უნდა შექმნას.ხალხსაც არ

ასხვავებს.ყველაფერს ჩემი ნათქვამის
საწინააღმდეგოდ ამბობს ეს ბატონი...

## დედამიწის სამოთხე

*ერთი მოლასგან გავიგე*
*სამოთხე ამიღწერა მე*
*რაც გინდა ჭამე*
*რაც გინდა დალიე!*

*ავადმყოფობა,ცრემლი არა*
*სულ 33 წლის  იქნები*
*სიკვდილი და განშორებაც არაა*
*სულ  მუდამ ასე იცხოვრებ!*

*ღვინის მდინარეები*
*ფორთოხლის და ბანანის ბაღები*
*რაც გინდა ის გაქვს*
*ხელი ასწიე და მოწყვიტე!*

*თუ ქალი ხარ გილმანი*
*გაბრექილი ყ.....*
*კაცი თუ ხარ ქალწული*

*ყოველ ჯერზე ქალიშვილი!*

*არ არის დაღლა*
*მუშაობა და გაოფლიანება*
*პური ხელში,წყალი ტბიდან*
*არასოდეს არ ილევა !*

*ტკბილეულის ასორტი,*
*თაფლიკევერები,*
*ჭამ და არ ილევა*
*და სულ ემატება!*

*მანქანები კუთვნილებაში*
*სადაც გინდა იქ წადი*
*თუ გენატრება ვინმე*
*მამაც და ყველაც გვერდზეა*

*ჩვენი კაცი სამოთხეს*
*დედამიწაზე ქმნის თურმე*
*ბასტურმა არ დაავიწყდებოდეს*
*რომ ჭამ და არ ილევა!*

**კაცი**-მაგრამ ჩვენს სამოთხეში სიზარმაცე არ შეიძლება.რაც ძალი და ღონე გაქვს უნდა იმუშაო.თქვენ კარგი გოგო ხართ ჯევრიე.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მაგრამ მე თქვენ მოგატყუეთ ბატონო.პასაჟის შესასვლელთან სავადმყოფოდან ახლახან გამომწერეს მეთქი რომ გითხარით, ეგ ტყუილი იყო.(მაყურებელს)მერე მარიხუანას და ქ.ბოლუში გადასახლების ამბავიც მოვუყევი მას.უცებ შეჩერდა და მერე მითხრა.
**კაცი**-აი ამ მდგომარეობაში პოლიციისგანუნდა დაიმალოთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ზუსტად შენსავით ბატონო.. ეს კარგა ხანია დავწვი...
**კაცი**-რა თქვი?...

# ფოსფორლუ ჯევრიე

## დაეჭვებული

*ეჭვებში ხარ უფროსო*
*ყურები სულ გარეთ გაქვს*
*შეურაცხოფის გარეშე*
*ყურები დაცქვეტილი გაქვს*

*ეს დიდი ხანია დავწვი*
*ყველაფერზე რომ ეჭვობ*
*ამ ულვაშებს მოვიპარსავ*
*თუ სწორეს არ ვამბობ*

*ფარდების გადაუწევლად*

*შუქსაც არ ანთებ*
*კარზე რომ აკაკუნებენ*
*უცებ კარსაც არ აღებ*

*პაკეტები რაც მოგაქვს*
*შიშით ხსნი მუდამ*
*სახელიც კი არ გითქვამს*
*შტერი კი არ უფროსო*

*ამის დედა ვატირე*
*პოლიციისგან იმალები*
*რომც დამალო მივხვდები*
*პოლიციისგან რომ იმალები*

-შეიძლება რაღაც გითხრა?
**კაცი**-კი რათქმაუნდა
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე რომ თქვენობით მომმართავთ...ვერ დავმალავ ძალიან მსიამოვნებს.თუ იკითხავ რატომ გეტყვი, რომ ამ დრომდე არავინ მომქცევია *ასე.(კაცს რომ გაეღიმე დაინახავს და...)*კიდევ რაღაცა უნდა გკითხო მაგრამ არ გამიბრაზდე.კარგი ბატონო?შენთვის ის ჰალსტუხი ცოლმა გამოაგზავნა არა?
ბეჭედს არ ვატარებო არ მითხრა.ზოგიერთი მამკაცი მაგ წყეულ რგოლს არ ატარებს ვიცი.

კაცი-მე ცოლი აღარ მყავს უკვე.ორი წელია გავშორდით.დიახ,ეს ჰალსტუხი ჩემთვის ძალაინ ძვირფასმა ქალბატონმა გამოაგზავნა ოღონდ ეს ქალი დედაჩემია.დედაჩემი შორსაა მეთქი რომ გითხარით გაგახსენდათ არა? მეც მოგატყუეთ.სტანბოლშია.მიუხედავად იმისა რომ საფრთხე მემუქრება მაინც ვნახე გუშინ ის.გაწეწილი ჭაღარა თმებში ვაკოცე და დავყნოსე.(*უცბად გარედან ხმები გაისმის,კარს სმაჯერ დააკაკუნებენ.ქერიმია.ქერიმი გაჩუმდება.*)

**კაცი**-მიმოიყევი,რომც გაიგოს პრობლემა არაა მომიყევი.

**ქერიმი**-შენს კვალზე დედაშენთან მისულან,შიგნით შესულან მაგრამ შენ ვერ უპოვიხართ მაგრამ დედაშენი წაუყვანიათ.მანდ არ უნდა მისულიყავი.ეს გოგოც გააგზავნე აწი შვილო ახლავე !(*ქერიმი წავა*)

**კაცი**-(კაცი პანიკაშია)გაიგეთ არა.ახლავე წადით და არასოდეს არ მოხვიდეთ აქ.თქვენც არ დაიღუპოთ თავი.ჩემი საქმე უკვე გადაწყვეტილია,თუ დამიჭირეს ჩამომახრჩობენ.ეს არ დაივიწყოთ.ჩვენი შეხვედრის შესახებ თუ კრინტს დაძრავ იცოდე ,მე სიკვდილს ხელს მოაწერ, გასაგებია?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(ტირილით) რატომ უნდა ჩამოგახრჩონ ბატონო?
*(ცოტა ხანს გაჩუმდება)* რომ ვაზროვნებ მაგიტომ... ამ სამყაროში ,უფრო კარგ ცხოვრებაზე რომ ვოცნებობ ამისათვის ჯევრიე...
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(*გულით*)ვინც შენ რაიმე დაგიშავოს ხელები მოტყდეს!შენ ოღონდ იცოცხლე და მე საერთოდ არ გნახავ !
**კაცი**-დასარჩენი ადგილი გააქვთ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ჩემზე ნუ იდარდებ ბატონო.ცის ქვეშ ყველა ადგილი ჩემი სახლია.
**კაცი**-*(ჯიბიდან რამდენიმე ცალ ქაღალდის ფულს ამოიღებს და მისცემს ძალით.)*თუ არ აიღებთ,ჩემი სიკვდილი გენახოთ.მიდი,თქვენც დროს ნუ დაკარგავთ ჩემს მერე გადით,(პალტოს ჩაიცვამს,ჯევრიეს ჩაეხუტება,აკოცებს ლოყაზე და გარეთ გავარდება.)

# ფოსფორლუ ჯევრიე

## კაცური კაცი

*ეს კაცია სხვა კაცი*
*ერთი კაცური კაცი*
*არ გავს სხვებს*
*გულით ზუტად მამაჩემი*

*არავისგან მინახავს*
*ამნაირი სითბო*
*არასოდეს არ უთქვამს*
*“გააქანე ერთი ფოსფორლუ“*

*მაჭამა ,მასვა,დამაძინა*
*სიცხეც დამიგდო*
*სანამ არ გამოვკეთდი*
*გარეთ არ გამაგდო*

*სხვას არა ჰგავს*
*არ გამოგიყენებს კაცს*
*ერთი კაცური კაცია*
*გულით ზუსტად მამაჩემი*

## ფარდა
## ნაწილი მეორ
### სუათ დერვიში

*(საბეჭდ მანქანასთან.)*სად მიდიოდა არ იცოდა.სტანბოლი თითქოს დაუპატარავდა.ერთი ადგილიდან მეორეში მიდიოდა ჯევრიე,ერთი საათით ადრე ედირნეკაპიშია,ერთი საათის მერე მაჩკადა თაშლიკში იპოვიდით მას.სახლიდან გამოგდებული კატასავით გაოცებული და არაბედნიერი იყო.სულ იმ კაცზე ფიქრობდა.ყველგან ის იყო...მთვრალი ტუჩებით

უკოცნელი ერთადერთი კაცი ის იყო.მთელი ღამე ამ კაცის ფიქრით ქუჩებში დაიარებოდა.ყველა მამაკაცში მას ეძებდა.ბოლოს ერთ პარკში ხის სკამზე ჩაეძინა.როცა გამოეღვიძება აკანკალდება. (ფოსფორლუ ადგება,ხის ჩემოდანით ხელში მომავალ ჯარისკაცს დაინახავს.)

**ჯარისკაცი**-მიცანი?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-როგორ არ გიცნობ?საით გაგიწევია ჩემო ლომო?

**ჯარისკაცი** -დასვენება დამიმთავრდა.დღეს უნდა ჩავბარდე ჯარს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ფული გამოგართვი მაგრამ კუთვნილი ვერ მოგართვი.არავისთან არ მინდა ვალი მქონდეს.არამ ფული არ მინდა.

**ჯარისკაცი**-(არასწორათ გაიგებს)
ისევ რომ დაგვიჭირონ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ისე არა.(ჯიბიდან ფულს ამოიღებს და მიაწოდებს )აიღე რა .აიღე თუარადა ჩემი სიკვდილი გენახოს.(აიღებს ფულს და მორიდებით განაგრძობს გზას.)

**ფოსფორლუ ჯევრიე**-
(მაყურებელს) გადაწყვეტილება მივიღე.სუმბულ დუდსთან მივიდე.მისი სახლი ქურთულუშშია.ორი ნაბიჯია მაქამდე.(ჩქარ ჩქარა წავა),მაგრამ ისევ იმ კაცზე ფიქრობს.ეს რა ხდება

ღმერთო.უფალო შენ მომეცი ჭკუა.სუმბულ დუსუ კარზე დაუკაკუნე.
(მაგიდასთან ერთი ქალი და მამაკაცი,სასმისს სვამენ.კარის კაკუნზე თითქოს სალოცავზე ისე დადგებიან.სუმბულ დუდუ კარს გააღებს.)
**სუმბულ დუდუ**-(კარგად მოხრილია წელში,თითქოს მიწას ეწებებაო.)ჯევრიე პატარავ.ოჰ დიდო კახპავ.თვალებს არ ვუჯერეეებ.ქალო სად ჯოჯოხეთის ბოლოში იყავი გადახვეწილი?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-უარეს ადგილას ვიყავი დეიდა სუმბულ.ჯერ ციხეში მერე კი გადასახლებაში.
**სუმბულ დუდუ**-(თითქოს არ იცის).ბოზობაა შენი საქმეა.ვინმეს კარგი საქმისთვის ციხეში არ აგდებენ.ქალო რა საქმე აუტეხე თავს?თუ იქურდე?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ხომ არ გაუბერე.ჰეროინის საქმეში დამიჭირეს.
**სუმბულ დუდუ**-მით*ხრეს მაგრამ არ* დავიჯერე.შენ ეროინის საქმეში რა გესაქმებოდა.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-არა რა დეიდა სუმბულ.ერთმა ნაბიჭვარმა ხელში პაკეტი დამაჭირა,ესაა მხოლოდ.(ისინი ისევ ლოცვას აგრძელებენ)

**სუმბულ დუდუ**-აი ჩემო პატარა მერცხლის ჩიჩო გენაცვალები.ჯერ პირიდან დედის რძე არ შეგშრობია.შენ ვერ მიხვდი ის კაცი რას გიპირებდა?შენ არ იცი ეს გალათა?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-დეიდა სუმბულ კარებთან რომ მალაპარაკები შიგნით არ მეპატიჟები?
**სუმბულ დუდუ**-ოჰ ჩემო ჯიგარო.ღმერთმა ასე ახალგაზრა დამაქვრივა და ამის თავში არ შემრჩა ტვინი.აღება ნებართვის საჭირო არ არის(სომხური აქცენტით)შემოდი
ფოსფორლუ ჯევრიე-(მლოცველებზე მიუთითებს)რა არის ეს დეიდა სუმბულ,ამიერიდან კლიენტებს ლოცვას აძალებ.
სუმბულ დუდუ-ამიერიდან ძაღლობას ასე ვაბოლებთ.(აქცენტით)როდესაც კარზე აკაკუნებენ ასე ლოცვას ვიწყებთ.გაიგე?მიდით შვილო საქმეს მიხედეთ.(ქალი და კაცი აიღებენ ლოცვის პატარა ხალიჩას და ოთახში შევლენ)
ფოსფორლუ ჯევრიე-(ღუმელთან დაჯდება) ძვლები გამითბეს ცოტა.
სუმბულ დუდუ-ამერიკულ ვისკის დალევ?შენს არ ყოფნაში აქაურობა შეიცვალა ჩემო ჯევრიე.ამერიკელები მოვიდნენ სტანბულში.ეხლა კლიენტების გემოვნებაც შეიცვალა.... ჰაჯი აღა ჯოჯოხეთის კიდიდან მოოოდის,მაგრამ მოვა თუარა ვისკიდა ჯინტონ

იკს ითხოვს.წინათ ერთი მოვიდა.ცოცხალი საქონლით ვაჭრობს.მენახირის მოვაჭრის სახელიც კი შეიცვალა.ცოცხალი საქონლით ვაჭარი ჰქვია.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-რა ლამაზად საუბრობ დეიდა სუმბულ.

**სუმბულ დუდუ**-შენ აბა ვინ გგონია დეიდა სუმბული.განათლები ქალი ვარ.დროის ტემპს შენ უნდა აჰყვე ,ის შენ არ აგყვება.შენ ჩემი ჯიგარი ხარ ფოსფორლუ.როცა კლიენტს ვაცნობ შენს თავს გული სიამაყის გრძნობით მევსება.აი გალათის,ჩეშმე მოედნის,ედირნეკაპის,თოფკაპის და იენიშეჰირის ტერიტორიებზე ერთერთი ცნობილი ხარ.ამ პროფესიაში ბევრი კახპა მინახავს,მაგრამ შენ თვითონ ხარ სტანბოლის ქუჩები.ამ ქალებთაგან შენსავით არავინ არ მიყვარს.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(უცებ ტირილის იწყებს.)ადამიანის გაბედნიერება როგორ გეხერხება დეიდა სუმბულ.(ხელებზე ეამბორება.)

**სუმბულ დუდუ**-ოი არ იტირო ჩემო ფოსფორლუ.მეც გული არ ამიჩუყო.პატარავ.რატომ ტიირიხარ ჩემო ჯევრიევ(სომხური აქცენტით)?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ერთი წელი ციხე ადვილია დეიდა?შენ,ბარბა და ქალკაცა მელაჰათიც ძალიან მომენატრეთ.
**სუმბულ დუდუ**-მე ,ეხლა უცებ შენთვის ჩეროზს მოვამზადებ  და უფრო ტკბილად ვისაუბრებთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ რატომ
გაამზადე.მაირიკი სადაა?

**სუმბულ დუდუ**- სიმღერა

*ოჰ შვილო არ გაგიგია?*
*ერთ დილით მივედი მასთან*
*ხელი ედვა გულსთან*
*თვითონ იწვა საწოლთან*

*არა მე მისი რძალი*
*ის იყო ჩემი თვალი*
*დედამთილი ხო იყო*
*მაგრამ ვითომ ვიყავ შვილი*
*მას გასვენების ამბავი*
*მოვლენა იყო დიდი*
*გალათაში ისე მრავლობა იყო*
*დაიკეტა ყველა დუკნის კარები*

*ყველა დასტიროდა.*
*ის წმინდანი იმყოპებოდა*

*გასაკვირველი რა არის*
*ყველაფერი უფლის ნებაა*

*სული სხეულში ტრიალებს*
*გამორთმევნის ნება აქვს*
*ღმერტის ბრძანებით*
*მიქელ-გაბრიელს*

(სიმღერ სიმღერით გავა.)

**ფოსფორლუ ჯევრიე**- (თვალები ეხუჭება.მაყურებელს.) ისევ ის კაცი მელანდება თვალწინ.თერმომეტრს მიდებს იღლიაში.

## დიდი სიყვარული

*ქუჩებში სულ მშიერი*
*კატა ვარ მოსეირნე*
*ხელი წამავლე და ამაყენე*
*და გულმკერში ჩამიკარი*

*ისე მამცივნებს რომ*
*კბილებს ვაკრაჭუნებ*
*ჩამხუტებაც მყოფნის მე*
*და ხელში დაჭერაც*

*შენ გენაცვალები*
*სული გამითბე*

*შემომხვიე  თბილად ხელები*
*შემიცოდე და შემიფარე*

*ტუჩებიდან იღვრება*
*ჩემთვის უცხო სამყარო*
*ოცნებაც კი კარგია*
*ჩემო სანდომიანო (ოცნებებში გაიფანტება)*

**სუმბულ დუდუ**-(ხელში ფოდნოსით შემოვა.ყვირილით)ეგეც შენი ლომის რძე (თურქულ რახს ასე ეძახიან)რა მოხდა პატარავ? თუ ჩაგეძინა?(მაგიდაზე ფოდნოსს დადებს)აწი ხშირ-ხშირად მოდი ჩემთან **ჯევრიე.ყოველთვის კარი ღიაა,ანუ ყველა დრო ხო აგანიგი არ შეიძლება. ხშირად მოდი ჩემს სანახავად** .ისედაც პასუხიმგებლიანი ქალი ხარ.მაირეკს სულ ასე ვეუბნებოდი,ჩემი ჯევრიე კარგი გოგოათქო.სინდის ნამუსიანია თქო,მამგრამ ბედი არ წყალობს თქო.(დაიწყებენ რახის სმას )
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მის სულზე მისავალი იყოს!
**სუმბულ დუდუ**-ნათელში იყოს მისი სული!
**ფოსფორლუ ჯევრიე**-სუმბულ დუდუ.შენთვის თავს გავწირავ,გადავბუგავ ყველაფერს შენთვის.მე გადასეხლებიდან

დავბრუნდი მაგრამ პოლიციასთან ცოტა პრობლემები მაქვს და ამიტომ აქურობას ცოტა ვერიდები.ჯიბეც გახვრეტილიც მაქვს .შენ ჩემთვის ვინმეს გაამზადებ?მაგრამ მე რომ არ გამოვჩნდე ისე.მიხვდი?

**სუმბულ დუდუ**-ზღვაში ქვიშა და ჩემთან მექალთანეები ჩემო ფოსფორლუ.ხვალ საღამოსვე.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-დღისით უკეთესია.საღამოს ბარბასთან უნდა მივიდე.მომენატრა ეგ ურჯულო.კარგი ადამიანისგან ცუდ სიტყვას ვერ გაიგებ.ბოლუს მოვლენებიც უნდა მოგიყვე,ციხის შემდგომ ბოლუში გადასახლებაში გამიშვეს ერთი წლით .

**სუმბულ დუდუ**-ბოლუში ჰგონიათ რომ სახელმწიფო მოხელე ხარ და პატივს გცემდნენ...(ხველა ხველით გაიცინებს)
შეეშვი ეხლა მასხრობას დეიდა სუმბულ.გამამწესეს მაგრამ გამოვიქეცი აქეთ.

**სუმბულ  დუდუ**-(ხუმრობით)
ღმერთო ჩემო ქალაქ ბოლუში მექალთანეები არ იყვნენ?ბოლუელელ კაცებს წინა ფასადები დაკეტილი ჰქონდათ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-სიმართლე ისაა  რომ მე სტანბოლის გარეშე ვერ ვძლებ რა დეიდა.(კარზე კაკუნი)

**სუმბულ დუდუ**-ღმერთით ვინმე კლიენტი იქნება(კარს გააღებს და შიგნით ჰაჯი შემოვა)შემოდი ჰაჯი,დიდი ხანია არ ჩანხარ.შიგნით შედი,თქვენ იცნობთ ერთმანეთს?
**ჰაჯი**-როგორ არ ვიცნობ დეიდა სუმბულ.ეს ფოსფორლუა.ბარბას დუქანში ერთი ორჯერ ნანახი მყავს.შენს ცეკვას მონატრებული ვართ.დიდი ხანია არ გვინახიხარ.როგორ ხარ ფოსფორლუ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-გმადლობ ჰაჯი უფროსო.
**სუმბულ დუდუ**-შენი ბერძენი გოგო როგორაა?
**ჰაჯი**-მაგი არ შემეკითხო,ნაბიჭვარი გამოდგა.
**სუმბულ დუდუ**- მომიყევი რა.
**ჰაჯი**-გუშინ წინ ღამით ჩამოვედი სტანბოლში.მონატრებით გავიქეცი ქურთულუშის სახლში და რას ხედავს ჩემი თვალები ? ბერძენ გოგოს სახლში  ახალგაზრდა კაცი აუყვანია.რახის სუფრა გაუშლიათ. ჩემს სახლში ფართი მოუწყვია ქალს.ორივე ვცემე.შიშვლები გავყარე გარეთ.ჩემმა უბნელებმა ძლივს გამომტაცეს ხელიდან.
**სუმბულ დუდუ**-შენნაირ ვაჯკაცს ეს როგორ გაკადრა.
**ჰაჯი**-არ მეკადრება ,მაგრამ გამიკეთა.
**სუმბულ დუდუ**-(თვალის ჩაკვრით)ვაჯკაცო ნუ დარდობ მაგას.უფრო კარგს ვიპოვით შენთვის.

**ჰაჯი**-ხუთნახევარი თვის ქირა წინასწარ მიცემული მქონდა.მე ეხლა საპირფარეშოში რომ შევიდე შეიძლება დეიდა სუმბულ?

**სუმბულ დუდუ**-რა საკითხავია კაცო (ჰაჯი შევა )ჯევრიემ რა შანსი გაქვს,ბედი კარზე მოგდგომია.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მეტრესი ვერ გავხდები ვერავისი დეიდაჩემო.

**სუმბულ დუდუ**-შენ მგონი აურიე.თუ ტვინი აღარ გიმუშავებს.თუ შეყვარებული ხარ? კაცს ქურთულუშის რაიონში ავეჯით სახლი უქირავებია.პირველი სართულია მაგრამ იყოს.ქარაჯა აჰმედის სასაფლაოდან,თაშქიშლას მინდვრებიდან უკეთესი არაა?

ფოსფორლუ ჯევრიე-მე მაგას არ ვამბობ.ერთ კაცზე დამოკიდებულება ჩემი სამქე არაა.

სუმბულ დუდუ-შენ ბერძენი გოგოსავით უნახავი ხომ არ ხარ?რა გზები გაიარე დაგავიწყდა? აი ეს შანსი დაიკარგება?შენს ფეხებქვეშ მოსულა.ახლა ვფიქრობ და  არგენტინულ ქურქში გახვეული, ამ შუა ზამთარში, ხელებიც ლამაზად შეფუთული, გამზირზე სეირნობა როგორ მოგიხდებიოდა.ეს შენი შანსია .ჰაჯი შევაბათ.მერე ახვალთ ოთახში,ისე უნდა გააბედბიერო რომ გადაიყვანო ჭკუდან და წაგიყვანოს ქურთულუშის სახლში და მერე

იცხოვრე ქეიფში.პური სხვისგან, წყალი ტბისგან(გამოთქმა)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-უნდა მოვიფიქრო დეიდა.ეს კაცი თან ფულს მოგვცემს და თან გაგყვიდის.თან მეტრესობა უნდა თუარა ჩემგან საიდან იცი?
**სუმბულ დუდუ**-მერე რა თუ მეტრესობა არ გინდა,დაწვები და გაივლის ,ქალიშვილობას ხომ არ აბარებ?დარწმუნებული ვარ რომ ჭკუიდან გადაიყვან.მხოლოდ,შენ თავი მძიმედ გეჭიროს.როგორ? გაეპრანჭე მაგრამ უცებ არ დაანახო.კაცებს ძალიან უნდა ეთამაშოს.მაგრამ ბევრი არ უნდა გაუგრძელო რადგან ბევრი პრანჭიობა კაცს სწყინდება.

ძალიან დიდი ხნის წინ, ჩემი სახლის კართან ,თვრამეტი წლის ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა საკუთარ თავს გულში ესროლა. შემოდგომ ვიგებ რომ დედამის დავუწყევლივარ: "მისი საბაბით რახან მოხდა, სუმბულ დუდუმ წელი ისე წაიდრიკოს რომ მიწას უყურებდეს მხოლოდო"უთქვამს. ახლა კი ნახე ,წელის ტკივილისგან ისე მოვიხარე, რომ ძალიან მოკუნტული ვარ.სახით კი მიწას ვუყურებ.მისმინე,ეხლა ჰაჯი რომ შემოვა ვითომ რაიმე მოხდა გაერთ გახვალ.მე შევამზადებ მას შენთვის.გასაგებია?

ფოსფორლუ ჯევრიე-(მაყურებელს)ტვინში ჩამიჯდა თუ არა მისი ნათქვამი?კი რატომაც არა,დროებით წავა რა.
(ჰაჯი შემოვა თუ არა ,ფოსფორლუ გარეთ გადის.კარი ნახევრად ღიაა,ესმის მათი საუბარი)
**სუმბულ დუდუ**-შენ თავი გრილად გეჭიროს ჰაჯი,არც ხელი და არც გულმკერდი დაგრჩება ცარიელი.შენთვის ისეთ კარგ ვინმეს ვიპოვი,იტყვი ვაიმე ეს  რა კარგია რომ იმ ბერძენმა ქალმა მიღალატაო.
**ჰაჯი** -ვინ უნდა მიპოვო?
**სუმბულ დუდუ**-შენ მე მომანდე.რასაც გეტვი ის გააკეთე მხოლოდ.
**ჰაჯი**-შენ მაგარი ქალი ხარ დეიდა სუმბულ,მხოლოდ შენც კარგად იცი ტომარაში მყოფი კატის და ზღვაში თევზის შევაჭრება არ შეიძლება.ანკარის ჯიში კატაა,ვანის ჯიში კატაა და გახედავ და ქეციანი კატა აღმოჩნდება.არა სკუმბრიაა,მარჯანი,ქორჭილაა ან ორაგულის მაგივრად ხამსი აღმოჩნდება.შენ თევზის ბაზარში ნამყოფი ხარ?ცუდი ბასტურმაც რომ შეარჩიო გამყიდველი ცოტას მაინც მოჭრის და გაგასინჯებს.შენ რაც ხელში გყავს, ერთი მანახე და ყველაზე კარგს ავარჩევთ.
**სუმბულ დუდუ**-მართალს ამბობ ჰაჯი.შენ ცხელი რძისგან პირი დაგწვია და მაწონს სულს

უბერავ.მაგრამ ცხვირწინ ვერ ხედავ (სომხური აქცენტით)ფოსფორლუ სახელგანთქმული რომაა არ გაგიგია?
**ჰაჯი**-ფოსფორლუ რომ სახელგანთქმულია ყველამ ვიცით, მაგრამ არამგონია უნდოდეს ჩემი მეტრესად ყოფნა.თან ძალიან მოქნილი ქალია.როგორ დავაოკებ მას.
**სუმბულ დუდუ**-ცხენი მოჯირითეს მიხედვით არ იჭიხვინებს?ყველაფერი შენს ხელშია ჰაჯი.ფოსფორლუ არავის რომ არ უნახავს ეგეთი მაგარი ქალია.საწოლშიც ძალიან მარიფეთიანია,გემო გაუსინჯე და მიხვდები მე რასაც ვამბობ.მთავრია მოთმნიბებით იარო წინ.(დაიყვირებს)ჩემო ჯევრიე სად დაიკარგე?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მოდის)ბრძანე
**სუმბულ დუდუ**-ეხლა თქვენთვის ისეთ სუფრას გავამზადებ რომ თითქოს მაირიკს გაემზადებინოს თქვენთვის.თქვენც ისე იბაასეთ რომ ბერძენი გოგო შურით გასკდეს !(სამზარეულოში შევა)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)ვჭამეთ,ვსვით.ვაჩვევ საკუთარ თავს რომ ჰაჯის საყვარელი გავხდები.ერთი ღამით რომ იყოს ადვილია.ჰაჯი აღმოსავლეთის მხრიდანა.თვეში ერთხელ, თითქმის ერთი კვირით წავა აღმოსავლეთში.ცოცხალი საქონლის

საყიდლად.ზოგჯერ ათ დღეს დავრჩებიო.ამ კაცთან შეიძლება რაა?ჰაჯის მხრებს უკან თითქოს ის კაცი მიცქერს.ღმერთო ჩემო,ჭკუა დამიბრუნე.ისე დეიდა სუმბული მართალია.პური სხვისგან ,წყალი ტბისგან.თან პოლიიცის შიშიც არ მექნება,ვნახოთ თუ ვერ შევძელი ,ტკბილად გავშორდები,დეიდა სუმბულიც ჰაჯის სხვას უპოვნის და მეც არ გამიბრაზდება.ისე ცოტა ჭკუაში დამიჯდა.თანაც ყოველ დღე ჩემთან არ იქნება,ეგეც კარგია.

ოთახში შევედით.ჰაჯის ისეთი პერფომანსი ვაჩვენე რომ მთლა გადაირია და დაეძინა.გავედი გარეთ.

(უკან ჰაჯი მოყვება)

**ჰაჯი**-ჩემი მეტრესი  გახდი რაა !ცხოვრებას განახებ !

**ფოსფორლუ ჯევრიე**-საღამოს ბარბას დუქანში მოდი .იქედან შესაძლოა წავიდეთ შენთან.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)ქუჩაში გავედი,კარგს ვაკეთებ თუ ცუდს?ამას დრო გვაჩვენებს. ქუჩებში ხალხმრავლობაა.თითქოს ის კაცი ჩემთან ერთად დადის,რა არის ღმერთო ჩემო ეს?არასოდეს ასეთი რამე არ დამმართნია.გავუბერე მგონი.მოვიარე მთელი სტანბოლი.გულჰანე პარკშიც ცოტა წამოვჯექი, კაცი ისევ თავში მიტრიალებს.მგონი ჭკუას

ვკარგავ.როდის მივედი ბარბას დუქანში არც მახსოვს.დუქანში შევედი თუ არა  დავინახე ბარბა დახლზე რაღაცას საქმობს ,აწია თავი და შემომხედა.უცებ გაეღიმა მოხუცს.

**ბარბა** -ვაა ეს შენა ხარ ფოსფორლუ?

(ფოსფორლუ ჩაეხუტება და გადაკოცნის ბარბას)

**ბარბა**-გოგო კარგად ხარ ,რას აკეთებ?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-შენ გკოცნი მომნატრებიხარ?

**ბარბა**-ყველა გოგოს უყვარს ბარბა,როდესაც ქალს საყვარელი არ ყავს მხოლოდ მაშინ მეხუტება და მკოცნის ყველა.

**ფოსფორლუჯევრიე**-ოდესმე მე შენ გიღალატებ ბარბა?

**ბარბა**-ჩამოჯექი ერთი ფოსფორლუ,ყველაფერი ვიცი შენს შესახებ.ციხე,გადასახლება,შემდეგ სტანბოლში გამოქცევა.არ მკითხო საიდან ვიცი,ვერ გეტყვი.

**ფოსფორლ ჯევრიე**-საიდან?

**ბარბა**-ქალკაცა მელაჰათისგან.ამაღამ ისევ მოვა.(ერთ ბაკალს აუვსებს და მიაწვდის) ეს ჩემგან.მიირთვი

**ფოსფორლუ ჯევრიე**-მეორე რომ მომინდეს?

**ბარბა**-ნისიად.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-დიდხანს იცოცხლე ბარბა. ბიჭებიდან ვინმე არ ჩანს?

**ბარბა**-ცოტახანში დაერჭობიან აქ. ცოტახნის წინ ფანტომა ათიფი და ზომბი რეჯეფიც აქ იყვნენ,მაგრამ არ დარჩნენ.ზეზე ერთი ორი გადაკრეს და წავიდნენ.შენ ამაღამ რას შვები?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ბარბა რაღაცას უნდა გამოვკრა ხელი.თუ ჩემი შანსია რაღაცას ამოვრჩები,თუ არადა ღამე მოვალ დ აუკანა ფანჯრიდან დაგიკაკუნებ.
**ბარბა**-მობრძანდი ფოსფორლუ. ჩვენი ოთახი ხომ საერთაშორისო სასტუმროა. ვინაა ეგ ტიპი?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ჰაჯის იცნობ?ერთ ბერძენ გოგოსთან ერთად ცხოვრობდა, გუშინწინამდე ქურთულუშში.გოგოს უღალატნია.
**ბარბა**-ვიცნობ,ვიცნობ.შენ რა საქმე გაქვს ჰაჯისთან.

წუხელ ღამით სუმბულ დუდუს სახლში ერთად ვიყავით.კაცს ისე მოვეწონე რომ მეტრესად უნდა ჩემი თავი,ეგეცაა ბერძენი გოგოც ნაცემი ჰყავს. ამ კაცმა თან უნდა გამომკვებოს და თან თავისუფელბა მომცეს?რაღაც არა მგონია.ცოტანხანში მოვა.ვჭამოთ და ვსვათ უნდა და შემდეგ სახლში უნდა წავიდეთ ვითომ მაგრამ ჯერ ვერ გადამიწვეტია.
**ბარბა**-ქუჩებში ხეთიალზე უკეთესი კი არის ფოსფორლუ, ბოლოს და ბოლოს თავშესაფარი მაინც გექნება.ფულიც და ქონებაც .

**ჰაჯი**-(შემოდის)საღამო მშვიდობისა (დაჯდება მაგიდასთან)გავიღვიძე თუ არა უცებ ავდექი ჩემო ფოსფორლუ არ ვალოდინო მეთქი.მომხედე ერთი ბარბა.ჩემთვის ჯიგრის ქაბაბი  და შენ რას მიირთმევ ფოსფორლუ?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე რაც მინდა ბარბამ იცის.
**ჰაჯი**-რატომ შევუკვეთე ჯიგრის ქაბაბი იცი? ფოსფორლუს გამო  ჩემი ჯიგარი ქაბაბად მექცა (უხამსად იცინის),სუმბულის ნათქვამზე უკეთესი გამოდექი.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მადლობა უფროსო.
ჰაჯი *(ბარბას მოტანილ რახს აიღებს)*გოგო კიდევ უფროსო უნდა დამიძახო?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ამის შემდეგ აღარ დაგიძახებ უფროსო.
**ჰაჯი**-ჩვენი ურთიერთობის დღეგრძელობისთვის შევსვათ რა ჯევრიე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-გაგვიმარჯოს
**ჰაჯი**-ამაღამ წავალთ ჩემთან სახლში.სადაც დავამთავრეთ იქიდან დავიწყებთ ქეიფს,დილით გაღვიძების  შემდეგ გამოვალთ სახლიდან და ერთ ნაცნობ ოქრომჭედელთან მივალთ ,რამდენი სამაჯური  უნდა გიყიდო ჩემო ჯევრიევ? ერთიც ოქროს მონეტაც მოგიხდება გულმკერდზე.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-გალათაზე ამდენ სამაჯურს და ყელზე მონეტებს დაიკიდებ და ვიღაცა ან მკლავს მოგატეხავს ან კისერს.
**ჰაჯი**-შენ ვინ უნდა დაგინახოს.სახლიდან მხოლოდ ჩემთან ერთად გახვალ.ჩემს გვერდზე ვინც ცუდად შემოგხედავს, დავჭრი ღმერთმანი.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ყოველ დღე ჩემს გვერდზე უნდ აიყო?ყოველ დღე ბაქლავა და ბორექი რომ ჩამო მოგბეზრდება.
**ჰაჯი**-მე შენ სიკვდილამდე არ მომბეზრდები ჯევრიევ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-შეენ ცოლიანი ხარ ხომ უფროსო?
**ჰაჯი**-ცოლიანი ვარ.ჩემი უფროსი ძმის ცოლი იყო.ჩემზე ასაკით დიდია.ჩემი ძმა რომ გარდაიცვალა, ჩემზე დააქორწინეს ასეთი ადათია.5 წელია რაც და ძმასავით ვცხოვრობთ(გაიღიმებს)რატომ ჩაფიქრდი გოგო?მაგ თვალებში გენაცვალე .მომკალი საწოლში (ცოტას მიუთათუნებს ხელს ჯევრიეს)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-თუ ასეა ფეხზე როგორ ხარ ახლა? (ჰაჯის მიუთათუნებს რამდენჯერ)
**ჰაჯი**- იუმორი არ გესმის ფოსფორლუ?
(კარში ქალკაცა მელაჰათი და ხათაბალა გულსერენი შემოდიან)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ქალკაცა,გულსერეეეენ!

**ქალკაცა მელაჰათი**-გოგო სადა ხარ შენ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მოდით დაგვეწიეთ
**ჰაჯი**-მოდით მაგიდა
გაგვიხალისეთ.(დაჯდებიან)
**ქალკაცა მელაჰათი**-გოგო ის დღეა დ აის დე
არ ჩანხარ
**ფოსფორლუ ჯევრიე**-აგიხსნი
(ქალკაცა მელაჰათი და  ხათაბალა გულსერენი
ხელს გაუწვდიან ჰაჯის და ესალმებიან)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ქალკაცა მელაჰათი... და
ხათაბალა გულსერენი . ეს კი ჰაჯი.
**ჰაჯი**-რახის მიირთმევთ?
**ქალკაცა მელაჰათი**-ავადმყოფს შეეკითხებიან
წვნიანი გინდაო?
**ჰაჯი** -(ბარმას გასძახებს)ჩვენთვის 2 რახი
ჩამოასხი!(ჩათლაქი მარიკაც
შემოდის.მომიახლოვდება, ისევ მთვრალია.)
**ჰაჯი**-როცა არ უნდა ვნახო მუდამ მთვრალია.ეს
რატომ სვამს ასე?
**ხათაბალა გულსერენ**ი-ამას ერთი მეგობარი
ჰყოლია,ვიღაცა ჰყოლია იმას მოკლული.შემდეგ
ის სულთანახმედზე ჩამოუხვრჩიათ.იმ დღის
მერე ასე სვამს ეს.(ჰაჯის სახე მოეღუშება და
ხელით ანიშნებს და საპირარეშოსკენ წავა.)
**ქალკაცა მელაჰათი**-ეს ვინაა?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ყურძენი ჭამე,პატრონი ვინაა ნუ კიხულობ.ქურთულუშში სახლს იღებს ჩემთვის.ხმელი აითენისგან რა ისმის?( გულსერენი და მელაჰათი ერთმანეთს შეხედავენ.)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ხმა ამოიღეთ
ე რ თა დ

# ხმელი აითენი

*ქუჩაში დაბადებულებისთვის*
*სიკვდილიც ქუჩაშია*
*ვერ მივედი საფლავზე*
*ეს საბრალო აითენი*
*მთლად ისე დასუსტდა*
*სულ ხესავით ჩამოხმა*
*კვესა კვესნით და ოხვით*
*ეს საბრალო აითენი*

*უპატრანო ბავშვთა სახლის*
*აითენო ჩვენო აითენო*
*მეჩეთის ეზოდან დაიწყო*
*განყოფილებაში დამთავრდა ცხოვრება.!*

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვაიმე აითენ.
(გაუჩერებლად სვამს.გადაკრავს)

**ბარბა**-(ფოსფორლუს ჩაჩურჩულებს )მშიერ კუჭზე ნუ სვამ...
**ქალკაცა მელაჰათი**-შენ სად იყავი?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ერთ ვინმეს თავი შევაფარე,არ იცნობთ თქვენ.ისედაც ავად ვიყავი ხომ იცით.ერთი კვირა მომიარა.პური სხვისგან ,წყალი ტბისგან.
**ქალკაცა მელაჰათი**-ვინმე შეაბი გოგო.?დამაინტერესა ,რაღაცეებს გვიმალავ.ჩვენ რას გამოგვაპარებ ფოსფორლუ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვინმემ რაიმე საზღაურის გარეშე ,თითონ არ ჭამოს და გაჭამოს,გამოგაკეთოს.როგორ გადაიხდი მის ვალს?იცი რომ ქალი ხარ ამას შენს წინაღმდეგ არ გამოიყენებს და ქალბატონად ჩაგთვლის.ასეთ ადამიანს რა უნდა გაუკეთო მელაჰათ?
ხათაბალა გულსერენ-ასეთი ადამიანი არსებობს ამ სამყაროში?ეს ვიღაცა მამკაცია?
**ქალკაცა მელაჰათი-**გამოყენების გარეშე ასე მოგექცა?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-დიახ
**ქალკაცა მელჰათი**-ან თავში უჭირს რაღაცა ან კაცობა არა აქვს.რისი თქმა გინდა ამით ჯევრიე.მოიცა,მოიცა თუ ვიღაცა შეგიყვარდა?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-რაიმე გვეტყობა ამის?

**ქალკაცა მელაჰათი**-მაშინ ასეთი უცნაური მოყოლა რა არის?
 **ფოსფორლუ  ჯევრიე**-ისე მოგიყევით რა.
**ხათაბალა გულსერენი**-გოგო შენ მართლა  და მართლა დათვერი უკვე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ამაღამ კარგათ უნდა გამოვთვრე ,გავილეშო.
**ქალკაცა მელაჰათი**-კაი,მაგრამ მიზეზიც ვიცოდეთ.დაძმაზე უფრო ახლობლები ვართ შენთვის.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მე უნდა წავიდე.უცებ რაღაცა უნდა დავთირო.ჩვენი ჰაჯი თქვენ გაართეთ.(კარისაკენ ბორძიკით წავა)
**ჰაჯი**-(შემოდის შიგნით და ბოლო სიტყვებს გაიგებს)საით მიდიხარ?(გაკვირვებული წელზე ხელს შემოხვევს.)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მიდი გაიარე.შემეშვი
**ჰაჯი**-(ჩურჩულით მაგრამ დაშინებით)ეს სუფრა შენ რომ წასულიყავი ამისთვის გავშალე თუ თხუთმეთი წლის გოგოსავით იპრანჭები?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-დაახვიე ჰაჯი რა.დაქოქე და გაიარე.
**ჰაჯი**-( დაიჭერს და გარეთ გაიყვანს ფოსფორლუს.ყელზე წაუჭერს.)
სხვასთან რა ნომრებსაც აკეთებ,ჩემთან არ გაგივა.ჩვენ  რა მოვილაპარაკეთ კახპა?შედი

შიგნით!გინდა რომ შემარცხვინო დღეს.ჰაჯის მაგიდიდან უნებართვოდ არავინ არ ამდგარა აქამდე.ჩვენ აბდალი ხომ არ ვართ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(ტირილით) ვერ ხედავ რა დღეში ვარ ჰაჯი.

**ჰაჯი**-რა გჭირს ვითომ კახპა!მაგიდაზე მეგობრებიც მომიყარე!დედა მ.... ქალო!შედი შიგნით.(შიგნით შედიან და მაგიდასთან სხდებიან.თარის დამკვრელი ბრმა აბდი შემოვა.)

**ქალკაცა მელაჰათი**-აბდი მაგიდასთან მოდი.ჩვენთვის რაიმე დაუკარი.(აბდი ხმის მიხედვით მივა მაგიდასთან.თარს ამოიღებს და აკორდს აიღებს.)

**ჰაჯი**-რაიმეს მიირთმევთ?

**თარის დამკვრელი აბდი**-არ დავლევ მაგრამ რაიმეს შევჭამ.მაგიდა სავსეა ისედაც.

**ქალკაცა მელაჰათი**-ძია აბდი თქვენი თვალები ჩვენზე მჭრელია.მისაყოლებლები რომ ბლომადაა საიდან მიხვდი?

**თარის დამკვრელი აბდი**-ჩემი თვალები კი არა ცხვირი მჭრელია!

**ჰაჯი**-შენთან ერთად სანადიროდ უნდა წავიდეს კაცი!ფულს სუნით გრძნობ?

**თარის დამკვრელი აბდი**-ვგრძნობ.ამ მაგიდაზეც ბლომადაა.

**ჰაჯი**-გაიღიმე აწი გოგო,ფოსფორლუ ჯევრიე დაუკარი აბი...ყველამ ერთად ვიმღეროთ...

# ყველა ერთად

*განყოფილებაში არარის სარკე, არარის*

*გოგოს ხელზე დამგა აქვს ,დამგა აქვს*

*თვალებში გეტყობა ჩემო ჯევრიე*

*რომ დიდი სიყვარულით გიყვარს*

*ზღვის ქვიშა ვარ,ქვიშა ვარ*
*თევზის ფქვილი ვარ,ფქვილი ვარ*

*გულისკარი გამიღე ჯევრიევ*
*მე ღმერთის მსახური ვარ*
*ჩემო კარგო  ფოსფორლუ*
*მეც ღვთის მსახური ვარ!*

**ფოსფორლუ ჯევრიე**(ჭიქას ძირში დაანაცხრებს.)ძია აბდი გაჩუმდი.

**ჰაჯი**-ნუ დაიწყებ ეხლა!
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვერ ხედავთ რომ ორივე მკლავზე დამღა მაქვს?
**ქალკაცა მელაჰათი**-კარგადაა გამომთვრალი.
**ხათაბალა გულსერენი**-თანაც როგორ...
**ჰაჯი**-სიმღერა გააგრძელე აბდი.
**ბრმა აბდი**-მაგრამ...
**ჰაჯი**-გააგრეძელე!
**ბრმა აბდი**-

*სადახარ ჩემო ფოსფორლუ*
*ჩემო კარგო ფოსფორლუ*
*დიდხანს იცოცხლე ფოსფორლუვ*
*სად ხარ ჩემო ფოსფორლუ.*

**ჰაჯი**- რაიმე საცეკვაო დაუკარ აბდი.
(ფეხზე წამოდგება ფოსფორლუ.სალონის შუაში გამოვა და დაიწყებს ცეკვას.ქალკაცა მელაჰათი და ხათაბალა გულსერენი კი ტაშით ამხნევებენ.)
**ჰაჯი**-(ისიც აყვება)შენთვის სულს დავთმობ,აქ ცეცხლი დაანთე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(კარგად იცეკვებს და უცებ საფერფლეს ჩაავლებს ხელს.)შეწყვიტე აბდი შეწყვიტე მეთქი!(საფერლეს იატაკზე დაანარცხებს და ქოშინით იტირებს)
**ჰაჯი**-ესეც კარგა გაილეშა!
**ქალკაცა მელაჰათი**-გაილეშა კი არა გაითხლიშა!

**ხათაბალა გულსერენი**-გაითხშლიშა კი არა გაიტრიტა.
**ჰაჯი**-ეს ყოველთვის ასე აკეთებს?
**ქალკაცა მელაჰათი**-არასოდეს არ მინახავს ასეთ მდგომარეობაში.
**ჰაჯი**-ეს ჩემისა ჩვენთან ასე რატომ იქცევა,მიზანი ჩვენი შერცხვენაა?აიღე ეს გასამრჯელო აბდი. ცოტაც და ამ საფერფლეს  თავში ჩაგათხლიშავდა.(წამოდგება)სახე დაბანეთ ამას.(ბარბასთან მივა და ანგარიშს იხდის)
ქალკაცა მელაჰათი-(პატარა ხმით)რა დაგემართა ჩემო ჯევრიე?რა გჭირს?
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ძალიან შეყვარებული ვარ დაო რაა!
(ჰაჯის ზურგით შექცეულს რომ დაინახავს, გარეთ გაიქცევა)
**ჰაჯი**-(ფოსფორლუს ვერ დაინახავს)სადაა ეს?
**ქალკაცა მელაჰათი**-სახის დასაბანად შევიდა. (გარეთ უნდა გასვლა ჰაჯის.ქალკაცა ვითომ წაიქცევად და ჰაჯის გარეთ გასვლას დააგვიანებიებს.)
**ფოსფორლუ ჯევრიე**-(მაყურებელს)იქიდან გამოსული ,დაცემ- დაცემით გავრბივარ.ღმერთით აღარ დამიჭერს.იმ ჩემს კაცს რა დაემართა უნდა გავიგო.ადამიანობა ხომ არ მომკვდარა?კარგათ გამოვფხიზლდი და მივხვდი

რომ აღარ ვირბინო ,რადგან პოლიციელებმა ეჭვით  აღარ შემომხედონ.ნორმალურად გავაგრძელე გზა,რა დრო გავიდა არ ვიცი ,ისევ განვგვარგძობ გზას და აი მოვედი პასაჯის შესასვლელთან.(ეცდება კარის გაღებას ,მაგრამ დაკეტილია.კარზე დააკაკუნებს.)
უფროსო ძმაო ქერიმ გააღე! უფროსო ძმაო !მე ვარ ჯევრიე!
**ქერიმი-**ვაიმე შენა ხარ?უკვე კარებს ვკეტავთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-საერთოდ არ გადის გარეთ?
**ქერიმი**-ვერ გავა რადგან და დაჭერილია უკვე.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მგონი დედამისი ალაპარაკდა.
**ქერიმი**-დედამისი როგორ ალაპარაკდებოდა.სხვა საქმის გამო დააკავეს იგი!
**ფოსორლუ ჯევრიე**-ეს დიდი დანაშაულია?
**ქერიმი**-არა,მაგრამ პირადობას თუ გაარკვენ ძალიან ცუდი იქნება,რადგან არ იციან ჯერ ვინაა.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ანუ თუ ვერ გაიგებენ ვინააა ,მაშინ გადარჩება.ასეა არა?
**ქერიმი**-თუ პირიქით მოხდა.ღმერთმა დაგვიცვას
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ქერიმ უფროსო  რაღაცა ვიღონოთ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-მისი მეგობრების ნაწილი გარდაცვლია.უკვე მისჯილი აქვს ისედაც.შენ მთვრალი ხარ,ამ მდგომარეობაში რას გააკეთებ.

**ფოსფორლუ ჯევრიე**-რაც საჭიროა გავაკეთებ უფროსო.

**ქერიმი**-ის ძალაინ გიყვარს არა?

**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვკდები მისთვის.შეიძლება მოეწონოს.იტყვი რომ ერთი ქუჩის ბოზია.ეგება ფიქრობ, რომ გატყუებ ,მაგრამ ამის დედა ვატირე რომ მართალია.რაც მიჭამია შხამად შემერგოს თუ მისის სიცოცხლე არ მინდოდეს.ოღონდ მან იცოცხლოს  და მე მოვკვდები.ღმერთმა ჩემი სული მიიბაროს,არც მანაღვლებს.ციხეში რა ძნელია ვიცი უფროსო.გადაკეტილი კარები,რკინის გისოსები  და ბორკილები კარგად ვიცი ეგენი.ციხის მცველები,ერთი ჭიქა წყლის თხოვნა აი ამის სიმწარე ვიცი.გარეთ სიცოცხლე დუღს,ქუჩები,ხალხი,ჰაერი,მზე,ცა,ზღვა არის ,შენკი კედლებში ხარ მომწყვდეული.ყველაფერი გამოცდილი მაქვს.ბორკილები რომ არ უტარებია ისეთმა ადამიანმა ,რა იცისი მისი სიმძიმე.უბორკილოდ,უჟანდარმოდ ცხოვრება რაკარგია ძმაო.გალიაში დამწყვდეული ლომივით ზევით ქვევით როგორ დარბის, ახლა ვგრზნობ მას.ადამიანები სასახლეს ითხოვენ,ფულს,ლუქს ცხოვრებას,ბაქლავა და ბორექს... მე კი მხოლოდ მისის გარეთ დანახვა მსურს.ის უნდა დავიხსნათ ძმაო.

**ქერიმი**-მისი გადარჩენისთვის,მისი ვინაობა ვერ უნდ გაარკვიონ.აი მაშინ გადარჩება.წუხელ ღამით ორი კაცი ისევ დაუკავებიათ.იქიდან ერთერთი ჩემი ნაცნობია.თუ ალაპარაკდება მეც დავიწვები.პოლიცია მისი სტამბის ბეჭდებს თუ ნახავს, მისი პიროვნება გამოვლინდება.რაიმე რომ ყოფილიყო დასაწვავი დავწვავდი და უფრო ადვილი იქნებოდა,მაგრამ ესენი ზღვაშიარის ჩასაგდები, ისედაც მე მოვამზადე პაკეტი(კარს უკან პაკეტს დაანახვებს)მაგრამ ცოტა მძიმეა.მე უნდა წამეღო მაგრამ ,თუ დამიკავებენ ჩემი ადგილსამყოფელი ისედაც ნათელია.უცებ გაარკვედნენ ჩვენს კავშირს.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-პაკეტში რა დევს ძმაო?
**ქერიმი**-ხომ გითხარი სტამბის საბეჭდი.ნაწერი ამით მრავლდება.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-სად წავიღო ეს მითხარი ქერიმ ძმაო!
**ქერიმი**-ამ უბანს ცოტას რომ გაცდები,მერე ყველასგან მალულად სანაგვეზე გადააგდებ...
**ფოსფორლუ ჯევრიე**-კარგი ძმაო.
**ქერიმი**-რომ დაგიჭირომ?ყველაზე ცუდი ისაა აგალაპარაკებენ.
**ფოსფორლუ ჯევრიე**-ვერ დამიჭერენ ძმაო.რომც დამიჭირომ ვერ ამალაპარაკებენ.მე საერთოდ უცნობი ადამიანის გამო ერთი წელი ციხეში

ვიჯექი.მარტო ერთი თხოვნა მაქვს შენთან ძმაო.ჩემთვის ერთი თავსაფარი იპოვნე...თმებმა რომ არ ილიპლიპოს შუქზე შორიდანაც მიცნობენ.ჩემი ზედმეტსახელი ფოსფორისებრია რადგან.(ქერიმი შიგნით შედის.ცოტახანში ხელში თავსაფრით და პაკეტით მოვა)

**ქერიმი**-მოიცა ჯერ მე გავალ.მერე შენ და კარებს გაიხურავ.(ქერიმი ჩქარი ნაბიჯებით გავა)

**ფოსფორლუ ჯე**

# ვიწვი შიგნიდან

*სხეული ნაწილ ნაწილ*
*გულ ღვიძლი დამინაწევრდა*
*ნეტავი ვკდები თუ რა მჭირს.*
*ვიწვი ,შიგნიდან ვიწვი*

*იგი თუ მოკლეს*
*მე როგორ ვიცოცხლო,როგორ*
*მე მას ვენაცვალე*
*ვიწვი, შიგნიდან ვიწვი.*

*დაბლა დავხრი ჩემ თვას*
*შევეხვეწები ჯალათს*
*არაფერი არ მადარდებს*
*ოღონდ ის არ მომაკლდეს.*

(თავსახურს დაიხურავს. პაკეტს აიღებს. ზას გაჰყვება. ღამის პოლიციელი გამოჩნდება)
**ღამის პოლიციელი**-გაჩერდი! პაკეტში რა გაქვს?
(წააქცევს პოლიციელს და მიწაზე დაეცემა.ფოსფორლუ გარბის  პაკეტით ხელში.გამოეკიდება პოლიცელი.ერთი ორ წრეს შემოარტყამენ...პოლიციელი იარაღს დაუმიზნებს.რამოდენიმეჯერ ესვრის.ფოსფორლუ დაჭრილი მიწაზე დაეცემა.)

**სუათ დერვიში**

*(ჯევრიეს პერსონაჟი სუათ დერვიშად (მწერალი)* **გადაიქცევა**.მაგიდას მიუჯდება და **წერას დაიწყებს საბეჭდ მანქანაზე**.პირგაღებული და პრიალა კბილებით და თმით იწვა მიწაზე ფოსფორლუ.კაცი საქმის არ არსებობის საფუძველზე განთავისუფებულ იქნა. პოლიციამ ვერაფრით ვერ გაარკვია პაკეტსა და ფოსფორლუს შორის რა კავშირი იყო.ორი დღის შემდეგ ქალკაცა მელაჰათი,გულსერენი,გულნაზი,დეიდა სუმბული,ბარბა,ბრმა აბდი,ჩათლაქი მარიკა და ჰაჯი ყველანი ერთად ფერიკოის სასაფლაოზე ფოსფორლუს დაასაფლავებენ.ერთი ორი  ბავშვიც წყალს სურით მიმოაფქვრევენ მიწას .შემდეგ

ყველანი ერთად ბარბას დუქანში წავლენ.(შიგნით შედიან) და ჰაჯი ლაპარაკობს :დღეს მე გეპატიჟებით ყველას. მე ვიხდი.ჭამეთ, სვით ყველაფერს მე ვიხდი. მოდი  შენც ბრა აბდი. დაუკარ!(მუსიკის ხმა გაისმის)
და ცხოვრება გრძელდებოდა....
*(წამოდგება სუათ დერვიში და წარმოთქვამს: )*

## სტანბოლის ქუჩები

*ათას ცხრაას ორმოცდა შვიდი*
*თვეებიდან ოქტომბერი*
*ასეთი ღამე არასოდეს*
*არ უნახავს სტანბოლს*

*კუნძულები  და მოდები*
*ზღვის პირა სასახლეები*
*შიშლის აპარტმანები*
*და თბილი კერიები!*

*ვერავინ ვერ ამჩნევს*
*ქუჩებში არსებულ*
*ამ საოცარ წინააღმდეგობას*
*სიღარიბეს და უპატრონობას!*

*ტროტუარებზე კატები*
*უსუსური ძაღლები*
*ღარიბებს  და უპატრონოებს*

*ცხელი წვნიანი უნდათ*

*და ქუჩის კუთხეებში*
*ყველა ასაკი ქალი დგას*
*გასამრჯელოს ელოდებიან*
*კანკალით იყურებიან*

*ვერავინ ვერ ამჩნევს*
*ამ საოცარი წინააღმდეგობას*
*ქუჩებში არსებულ*
*სიღარიბეს და უპატრონობას!*

*ვინმემ უნდა შეამჩნიოს*
*ეს საოცარი წინააღმდეგობა*
*ქუჩებში უნდა რასებობდეს*
*თანაგრძნობა და სიყვარული!*

-- **დ ა ს ა ს რ უ ლ ი** --

სტანბოლი.10 დეკემბერი 2015 წელი

თურქულიდან მთარგმნელი:
*ეშრეფ ილმაზ მახარაძე*
*ცირა შა*